№ 25. # სახალხო გაზეთი № 25.

შაბათი, 5 ივნისი 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის
ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო
## სახალხო გაზეთი
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული
## სურათებიანი დამატება
**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.
ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური
დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.
ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.
გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.
****** ხელის-მომწერთა საყურადღებოდ ******
კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.
„სახალხო გაზეთის“ კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევს 5 საათიდან 7 საათამ.
წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

მოვაგონებთ წლიურ ხელის მომწერთ, რომ პირობით პირველ ივნისამდე უნდა წარედგინათ **7 მანეთი.** ვისაც ამაზე ნაკლები აქვს წარმოდგენილი, ვთხოვთ შემოიტანონ. **პირველ ივლისიდან** გაზეთის გზავნა მოესპობა ყველას, ვისაც 5 მან. 50 კაპ. ნაკლები აქვს წარმოდგენილი. აგრეთვე მოესპობათ გზავნა გაზეთისა, ვისაც ნახევარი წლითა ჰქონდა გამოწერილი.
**სახალხო გაზეთის კანტორა.**

**იულია მიხეილის ასული** და **სვეტლანა ალექსანდრეს ასული თაიროვები** ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას—პირველი ქმრის, ხოლო მეორე მამის
### ალექსანდრე ნიკიტის ძე თაიროვისას
გამოსვენება ცხედრისა კვირას, 6 ივნისს, დილის 10 საათზე, საკუთარ სახლიდან დიდი მთავრის ქუჩა (ველიკოკნიაჟესკაია) № 13, საიდანაც წაასვენებენ სომხეთა წმ. ღვთისმშობლის ეკკლესიაში (მიხეილის ქ. ვორონცოვის ძეგლთან) წირვისა და პანაშვიდის გადახდის შემდეგ მიცვალებულს წაასვენებენ დიდუბის მართლმადიდებელთა სასაფლაოს საგვარეულო აკლდამაში დასაკრძალავად. პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე.
(2—310—1)

## ავლაბრის თეატრი
(დირექცია ამდ-ხარაზიანისა).
**შაბათს, 5 ივნისს, 1910 წელს**
ავლაბრის ქართულ დრამატიულ ხელოვნების მოყვარულთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ავლაბრის სცენაზე:
I
### „ისმინე ისრაილ“
დრამა 3 მოქმ., თარგ. შალიბაშვილისა.
II
### „საღამოს ერთი ცხვირი ხეირია“
გოდევ. 1 მოქმ., სუნდუკიანცისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი რჩეულოვი, ლელაშვილი; ბ-ნნი მატარაძე, მეტრეველი, გელიკურაშვილი, სალაყაია, მირველოვი, ლეჟავა, კორძაია, მაისურაძე და სხვა.
ბილეთ. ფასი 10 კ.-დან 5 კ.-მდე. **დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.**
რეჟისორი **ვ. მატარაძე.** გამგე **ა. კორძაია.** (3—3)

1910 წელს, 6 ივნისს გაიმართება
## სეირნობა
ვერის სკეტინგ-რინგზედ საქველ-მოქმედო ბაზრით **ქართვ. ქალთა სამკერვალო სკოლის სასარგებლოდ**
პროგრამა საღამოსი: ბედნიერების ჩარხი, საპედისწერო ქვევრი, პტიჩე, რგოლებით სროლა, კომფეტი და სხ.
დაუკრავს სამხედრო მუსიკა და საზანდარი. იქნება ცეკვა ევროპიული და ლეკური; იქნება ბუფეტი, ცივცივი სასმელები, ყვავილები და სხ.
**დასაწყისი 5 საათზედ.**
შესასვლელი 30 კ. და მოსწავლეთათვის 20 კაპ.
თუ ავდარი იქნება სეირნობა გადიდება 7 ივნისისთვის. (4—4)

## ტფილისის კერძო სამკურნალო
30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარემე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.
**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11½ ს.
**გორბოვსკი-ზარანეკი ე. ვ.** თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.
**გურკო ვ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი, ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარ. 1—2 ს.
**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.
**ფირაძლოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
**პაპოვი ვ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყო. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
**ხობოლევსკი გ. გ.** ქირურ,. ყოვ დღე, 9—11 ს.
სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—6.—196)

ექ. ვ. ლამბაშიძის
## სანატორიუმი
პატარა ცემში
**გაიხსნება 15 ივნისს ორის განყოფილებით:**
ერთი—საბავშო, მეორე—დიდებისათვის.
დაწვრილებით პირობების გასაგებად მსურველთ უნდა მიმართონ წერილით ექიმს ვახტანგ ლამბაშიძეს **ბორჯომით** პატარა-ცემს.
(25—6)

## ორშაბათს, 7 ივნისს, საღამოს 7 საათზედ
ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია ქუთაისის ქართული დრამატიული საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება. განსახილველად დანიშნულია: ა) წარსული წლის ანგარიში; ბ) მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა; გ) სარევიზიო კომისის მოხსენება; დ) წესდების რამდენიმე მუხლის შეცვლა და ე) გამგეობის და სარევიზიო კომისიის ამორჩევა.
(1—6.—1)

გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერთ BATON-ის წიგნი
### „ერი და კაცობრიობა“
კერძო მყიდველებმა და წიგნის მაღაზიებმა, ვისაც სურს წიგნი შეიძინოს, უნდა მიმართონ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ. წიგნის მაღაზიას.
**ადრესი:** Тифлисъ, Общество распространенія грамотности среди Грузинъ, Дворцовая ул. д. Груз. Дворянства. (0—2)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო
ღარებს ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.
**ვ. გაზაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
**შ. ა მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—357)

**ექიმი დ. ახვლედიანი** იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელიზაბედის ქ. N 92. წლ.

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—138)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—450)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25

**ექიმი** ბავშვებისა ქუთაისში **ბადრიძე** 1 მაისიდან გადადის საკუთარ სახლში გენერლის ქუჩაზე ავადმყოფ ბავშვების გასინჯვა და აცრა. 9—12 და 5—7 ს. 25—6.—25

**ექიმი ვასილ წერეთელი** ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოხე ქიქოძის სახლი. (0—უ.—197)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** ქუთაისში **კ. თ. ტყეშელაშვილი** იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, სამარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—გგ.—59

**პეტერბურგის** უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი **ფილოლოგი**, პედაგოგიურ სამეცნიერო წრის წევრი იყვანს ყველა კლასის მოწაფეებს. ბინა ვარდის უბნის ქუჩა, № 3. გ. მამრაძე. (3—6.—1)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—6.—80)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. უ)

### სახალხო თეატრი
(ავჭალის ქუჩა)
**კვირას, 6 ივნისს, 1910 წ.**
ქართულ სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება
### სამხედრო განაკში
დრ. 4 მ. პეირლენისა, თ ა. იმედაშვილისა მონაწილეობენ: ქ-ნი ანკარა; ბ-ნნი ანაშვილი, ბადრიძე, მეტრეველი, ინაშვილი, სალაყაია, ი. რომანიშვილი, მატარაძე, პეპანოვი, კულამვილი, სოსოშვილი და სხ.
დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.
ადმინისტრატორი გ. ანაშვილი.
ბილეთები იყიდება თეატრის კასაში ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან.

**ზემო ავჭალაში** იძლევა აგარაკი
ორი ოთახი თავის სამზარეულოთი. ოთახები მოთავსებულია ზემო სართულში და გარშემო მშვენიერი ბაღი აკრავს. პლატფორმიდან სულ შვიდი წუთის სასიარულოა.
იკითხეთ „სახ. გაზ.“ რედაქციაში.

### განცხადებების მომკრები აგენტი
### მ. ა. გაჩეჩილაძე
გადავიდა მიხეილისა და კიროჩნის ქ. ქ. კუთხეში, სასტუმრო „იმპერიალში“ და კვლავ განაგრძობს მუშაობას. (10—4)

## სახელმწიფო სათათბირო
(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო)
**3 ივნისის დილის სხდომა.**

თავმჯდომარეობდა **თავ. ვოლკონსკი.** უკამათოდ მიიღეს ექვსი პატარა კანონ-პროექტი. **ვორონკოვი** კ.-დ. სახელით წინადადებას იძლევა, გამოირიცხოს წეს-რიგიდან კანონ-პროექტი 250.000 მან. გადადებაზე სამღვთო სჯულის მასწავლებელთა ჯამაგირის მოსამატებლად ციმბირში, საშუალო აზიაში და კავკასიაში: მოხსენება სათათბიროს წევრებს მხოლოდ გუშინ დაურიგეს და მათ არ შეეძლოთ გაეცნოთ ეს ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი, სტატისტების როლის თამაში კი—წაუკითხავად კანონ-პროექტზე ხელის მოწერა არ შეშვენის ხალხის წარმომადგენლებს (ტაში მარცხნივ). **კოვალევსკი** პროექტის განხილვას ითხოვს, რადგან ის უკვე 1909 წ. ოქტომბერში არის შეტანილი და კომისიათა მთელი რიგი განვლო. კ.-დ. წინადადება უარჰყვეს 112 ხმით 55 წინაამდეგ. ოპპოზიციის ნაწილი სტოვებს ზალას. სათათბირო გადადის პროექტის განხილვაზე.

ეპისკ. **მიტროფანე** მოხსენებას ჰკითხულობს. **ვორონკოვი** პროექტის წინაამდეგ გამოდის კ.-დ. სახელით და ამტკიცებს, რომ მისი მიღება წინასწარ დაადასტურებს საერო და სამინისტრო სკოლებთან ერთად სამრევლო სკოლების არსებობასაც, რომელნიც საზოგადოებრივი აზრისაგან უკვე დაგმობილია. **მღვ. იურაშკევიჩი** და **კოვალევსკი** იცავენ პროექტს. **სოკოლოვი მე-2** პასუხს აძლევს მათ. **ლუკაშინი** გლეხების სახელით აცხადებს, რომ ისინი პროექტის წინაამდეგ მისცემენ ხმას, მიტომ რომ სამრევლო სკოლას არ ძალუძს სახალხო განათლების სათანადო გზაზე დაყენება. **ბაზილევიჩი** ამბობს, რომ გლეხები, რომელნიც ცენტრში სხედან, ვერ მიემხრობიან ლუკაშინის განცხადებას (ტაში მარჯვნივ), რადგან მათ ახსოვთ სამრევლო სკოლების ამაგი საუკუნოებათა განმავლობაში. კანონ-პროექტი მიღებულ იქმნა სამჯერ წაკითხვის შემდეგ.

უკამათოთ მიიღეს შემდეგი შეკითხვები: რუსეთის ლითონის გამდნობი ქარხნების ტრესტის შექმნაზე; სახაზინო საქმეების ნარდათ გაცემის წესრიგთა დარღვევაზე და თურქესტანის, ირკუტსკის და პრიამურის გენერალ-გუბერნატორთა მიერ სათევზაო დადგენილებების გამოცემაზე. უკამათოთ მიიღეს აგრეთვე შეკითხვა იმ უკანონო მოქმედებათა შესახებ, რომელთაც სჩადიან სამხედრო და სამოქალაქო მთავრობის წარმომადგენელნი ბალტიის მხარის მკვიდრთა მიმართ. **თავ. ტენიშევმა** და **ლიახნიცკიმ** დაიცვეს შეკითხვა იაროსლავის სატუსაღოში სალდათის მიერ პაწია ბავშვის დაჭრის შესახებ, **თავ. კურაკინი** მათ წინააღმდეგ გამოვიდა. შეკითხვა მიღებულ იქმნა.

**თავ. ტენიშევი** მოხსენებას კითხულობს იმ შეკითხვაზე, რომელიც ოდესის გრადონაჩალნიკის გენერალ ტოლმაჩევის უკანონო მოქმედებათა შეეხება. კომისია მხარს უჭერს შეკითხვის იმ ნაწილს, რომელიც სათათბიროს არჩევნებს ეხება, ხოლო იმ ნაწილის უკუგდებას ითხოვს, რომელშიაც ქალაქის საბჭოს არჩევნებზე ლაპარაკი. **ნიკოლსკი** მთელ შეკითხვას იცავს. **ტიმოშკინის** აზრით, აუცილებლად საჭიროა მთელი შეკითხვის უარყოფა, მიტომ რომ ის გამოწვეულია შურისძიებით, რომელსაც გრძნობს ოპოზიცია გენ. ტოლმაჩევის სასიქადულო მოღვაწეობის გამო. **პურიშკევიჩი** ამბობს, რომ სათათბიროს კეთილგონიერ ნაწილმა უნდა შეიგნოს რეპრესიების აუცილებლობა და დააფასოს ტოლმაჩევის როლი 1905 წლის რევოლიუციონურ ვაკხანალიების დროს ისეთ ქალაქში, როგორიცაა ოდესა. **ტენიშევი** იცავს კომისიის გადაწყვეტილებას, რომელიც ბოლოს მიღებულ იქმნა სათათბიროს მიერ.

უკამათოთ მიიღეს შეკითხვა ოდესის გენერალ-გუბერნატორის უკანონო მოქმედებებზე, რომელიც იმაში გამოიხატა, რომ ოთხ პროფესორს აუკრძალეს ზოგიერთი რამ მათი თანამდებობის ასრულებაში. იმ შეკითხვის განხილვის დროს, რომელიც ვიატსკის პოლიციის უკანონო მოქმედებებს ეხებოდა, **კუზნეცოვმა** სოციალ-დემოკრატების ფორმულა შეიტანა მთავრობის განმარტების ნაკლულევანებაზე. ეს ფორმულა უარყოფილ იქმნა. მიიღეს თავ. **კურაკინის** ფორმულა, რომელიც აღიარებს, რომ ადმინისტრატიულმა გამოძიებამ საკმაოდ ვერ გამოარკვია საქმე და სასამართლოს გამოძიება სასურველია.

უკამათოდ მიიღეს შეკითხვა საგლეხო ბანკის უმართებულო მოქმედებაზე კოლონისტთა მიერ კავკასიაში გენერალ დურასოვის მამულის შეძენის საქმეში. შემდეგი სხდომა ხვალ.

## დეპეშები
(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)
**4 ივნისი.**
**საზღვარ-გარედ.**

**რომი.** დეპუტატთა პალატა. საზღვაო ბიუჯეტის განხილვის დროს საზღვაო მინისტრმა ლეონარდიმ დეპუტატებს მიუთითა იტალიის მშვიდობიან საგარეო პოლიტიკაზე და სთქვა, რომ დღევანდელი საზღვაო პროგრამა საკმაოა ჩვენი სახელმწიფოს ინტერესების დასაცავადო. მინისტრის სიტყვას ტაშის ცემით მიეგებნენ. საზღვაო ბიუჯეტი პალატამ უკამათოდ მიიღო.

**ლონდონი.** რეიტერი ირწმუნება, რომ წინადადება მისცა (ვინ?) მფარველ სახელმწიფოებს კიდევ თითო სამხედრო გემი გაგზანონ კრიტეზე.

**ბელგრადი.** ძლიერმა ქარიშხალმა მდინარე მორავის მიდამოში მდებარე ქალაქებს და სოფლებს დიდი ზარალი მიაყენა. ქალაქი სვილაინცი და იაგოდნიკა წყალმა წალეკა. ქუჩაში წყალი ზოგან სამ მეტრამდე ადის. მცხოვრებლებმა სახლების სახურავებს შეაფარეს თავი. იპოვეს 38 დამხრჩვალის გვამი. ბევრ სოფელში გლეხები უსახლკაროდ დარჩნენ. წყალში ბევრი შინაური პირუტყვი დაიღუპა.

**პარიზი.** რიპსის საქმე. ფონ-კოტენის დამცველი ამტკიცებს, რომ მოწმეებმა ერთი ფაქტიც არ დაასახელეს, რომელიც ჩირქს სცხებდეს ფონ-კოტენს. სტოლიპინის სიტყვიდან აზეფის შესახებ მან ციტატები მოიყვანა და ირწმუნება, რომ მის პაციენტს, ფონ-კოტენს, არ შეეძლო პროვოკაციისთვის ვინმე წაექეზებინა, რადგან ეს მთავრობისგან აკრძალულია. ლაბორის სიტყვით, რუსეთის სახელმწიფო ცხოვრების მეტადრე დღევანდელ პირობებში ტერორი დასაგმობია. პროკურორი წინადადებას აძლევს ნაფიც

მოსამართლეთ მხოლოდ მოკვლის განზრახვის ფაქტზე იქონიონ მსჯელობა. რიპსის დამცველი ბრალდებულის გამართლებას მოითხოვს, რიპსი სასამართლომ გაამართლა.

**ნიუ-იორკი.** ცენტრალურ მთავრობის ბრძანებით დააპატიმრეს შერთებულ უმავთულო ტელეგრაფის კომპანის თავმჯდომარე და მისი თანაშემწე სამსახურის დროს ბოროტ-მოქმედების ჩადენისათვის. ამათ სხვა და სხვა ხრიკებით კომპანიის აქციების საბირჟო ღირებულებას მოუმატეს და მით ხუთი მილიონი დოლარი ჩაიჯიბეს.

**სოფია.** ბოლგარეთის სააგენტოს ცნობით, ბოლგარეთის სლავიანთა საზოგადოების თავმჯდომარეს ბობჩევს გაუცხადებია, რომ მას სლავიანთა კულტურის მოსკოვის საზოგადოებისთვის არ გაუგზავნია დეპეშა კრებაზე შვიდის მაგივრად ერთი დელეგატი გამოეგზავნათ. ამიტომ ტყუილია ის ხმები, ვითომ ხსენებულ საზოგადოებას სოფიიდან დეპეშა მიეღოს და ამის შემდეგ გადაეწყვიტოს კრებაში მონაწილეობა არ მიიღოსო.

**პეკინი.** პროვინციების წარმომადგენლობითი კრებების დეპუტატებმა მეორედ მიმართეს მთავრობას თხოვნით მოიწვიოს პარლამენტი.

**სტრასბურგი.** ადიდებულმა მდინარე რეინმა გააფუჭა გიუნინგენის და ნეიენბურგის ნავთსადგურები. წყალმა მოიტაცა 30 კაცი, მაგრამ ყველანი ნავებით გადაარჩინეს. წყალი მატულობს.

**ბერნი.** ახლო-მახლო მიდამოებში წყალი ცოტა ჩამოწყდა. წყლის მოვარდნას იტყობინებიან ლიუცერნიდან, შაფგაუზენიდან და ბაზელიდან. გუშინ თურგაუში წყალმა ხუთი ქაცი დაახრჩო.

**ლონდონი.** სასკოლო საქმის შესასწავლად მოვიდა 44 რუსი მასწავლებელი.

**ბელგრადი.** აზღვავებულმა წყალმა დიდი უბედურობანი დაატრიალა. ქალაქი სვილაინაცი წყალმა თითქმის დაფარა. ალაგ-ალაგ წყალი 4 მეტრამდე ადის, მორავის მიდამოებში წყალმა ბევრი სოფელი წალეკა. მიმოსვლა შესწყდა. ზარალი ათ მილიონ ფრანკს აღემატება. მეფე მემკვიდრითურთ მინისტრებთან ერთად დაზარალებულ ალაგებს ათვალიერებს.

**პარიზი.** ესპანიიდან იტყობინებიან, რომ იქ დილის 4 ნახ. საათზე ბევრ ალაგას მიწა იძრა. მადრიდში, კორდოვში, მალაგაში, ალმერიაში და სხვ. რამდენიმე სახლი დაზიანდა.

### სპარსეთი

**ურმია.** ქალაქიდან სამი ვერსის მანძილზე სოფელ სენგერს თავს დაესხნენ ქურთები. ამ სოფელში ამას წინად შეაფარა თავი ქურთების მიერ მოტაცებულმა აისორმა ქალმა. ეს შემთხვევა ნაყოფია ოსმალეთის ელჩის დიდის ხნის მუქარისა. მთავრობა ამის წინააღმდეგ არავითარ ზომებს არ იღებს, თუმცა ამას მოითხოვს რუსეთის ელჩი და ფრანგი მისიონერები. სენგერის მცხოვრებლები ქურთებს დიდს წინააღმდეგობას უწევენ. მათ დასახმარებლად მოდიან ახლო-მახლო სოფლებიდან სომხები და მთაში მცხოვრები აისორები. მთავრობამ მხოლოდ ღამე მოგზავნა 50 ცხენოსანი და ორი ზარბაზანი, მაგრამ მათ არავითარი დახმარება არ აღმოუჩინეს სოფელს. ღამე ქურთებმა დაიხიეს. მოსალოდნელია ახალი თავდასხმა.

### კრიტის საკითხი

**ლონდონი.** ქვედა პალატა. ლაპარაკობს (დეპეშამ არ გადმოგვცა, თუ ვინ ლაპარაკობს), რომ კრიტეს საკითხს თუ ისე არ მოვეკიდებით, როგორც საჭიროა, მოსალოდნელია მეტად ფრიად სერიოზული შედეგები გამოიწვიოსო. თუ ინგლისი ყურს არ ათხოვებს კრიტის კუნძულის მაჰმადიანთადმი უსამართლობას, ეგვიპტეში და ინდოეთში ინგლისის უკმაყოფილოდ დარჩებიან ევროპის პრესის ერთი ნაწილი მეტად მკაცრადა ჰკიცხავს მფარველ სახელმწიფოთა საქციელს. ინგლისის პრესა ყველაზე მკაცრად ჰკიცხავს ამ სახელმწიფოებს. სტამბოლისა და ათინის საზოგადოებრივი აზრი აღშფოთებულია საყვედურებით. აღშფოთება შესუსტდებოდა, თუ ინგლისის მთავრობა ერთხელ და გადაჭრით განაცხადებდა, თუ რა საბოლოო გადაწყვეტილებას ადგია იგი. ჩარლზ დილკმა განაცხადა, შეუძლებელია კრიტეს სურვილები დაკმაყოფილოდ მხოლოდ სახელმწიფოებთან შეთანხმებით, ასევე შეუძლებელია ფაქტიურად აღვადგინოდ ოსმალეთის ბატონობა კრიტეს კუნძულზე.

გრეიმ კრიტეს საკითხზე სთქვა, რომ ეს საკითხი სხვა სახელმწიფოებში უფრო მეტ ექვებ იწვევს, ვიდრე ინგლისში. მფარველ სახელმწიფოების მიერ მოწონებული და შემოღებული ავტონომია ოსმალეთის თვალში იმის თავმდები იყო, რომ ასეთ პირობებში კრიტე საბერძნეთს არ შეუერთდებოდა. მაგრამ ოსმალეთში განახლებულ წესწყობილების დამყარების შემდეგ შეუძლებელი იყო კრიტეს საკითხი ოსმალეთის დაუკითხავად გადაწყვეტილიყო. კრიტეს ნაციონალურ კრების მოთხოვნილება, რომ კუნძულის მაჰმადიანი დეპუტატები უნდა დასწრებოდენ კრებას მხოლოდ, როდესაც ბერძენი დეპუტატები ფიცს მიიღებდენ საბერძნეთის ერთგულებაზე—მოასწავებდა კუნძულის არსებულ მდგომარეობის დარღვევას. გრეის სიტყვით, კრიტელებში ძლიერია მიდრეკილება საბერძნეთთან შეერთებისა, მაგრამ ამავე დროს ოსმალეთშიაც ძლიერია კრიტეს ანექსიის საწინააღმდეგო მიმართულება. სახელმწიფოებს არ შეეძლოთ ოსმალეთის დაუკითხავად შეეცვალათ კრიტეს დღევანდელი მდგომარეობა. გრეის აზრით, კრიტელები დაუჯერებენ მფარველ სახელმწიფოების რჩევას და იძულებამდის არ მიიყვანენ საქმეს, რომ იძულებული გახდენ სახელმწიფოები ოსმალეთის წინაშე დადებული პირობები აასრულონ.

### რუსეთი

**ვილნა.** ებრაელების ქუჩაზე ჩამოინგრა ძველი შენობის ზემო სართული. ნანგრევებიდან ერთი ებრაელი ქალის გვამი ამოიღეს, სხვა მდგმურებმა თავს უშველეს.

**ვოზნესენსკაია.** (ყუბ. ოლქ.) ნიაღვრების შემდეგ ატეხილი აღმოსავლეთის ქარი ცუდად მოქმედობს ნათესზე. შიშობენ, რომ მან მოსავალი არ წაახდინოს.

**რიგა.** პეტერბურგის სამოსამართლო პალატის სამაზრო სესია შეუდგა რიგა-ორლოვის რკინის გზაზე 16 მსახურის საქმის გარჩევას, რომელთაც 1905 წ. გაფიცვაში მონაწილეობა და სხვა პოლიტიკური დანაშაულობა ბრალდებათ. სხდომაზე არავის უშვებენ.

**პეტერბურგი.** 2 ივნისს ღამე ლიგოვის ქუჩაზე სახლს № 74 ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლი ახლომახლო შენობებს და რუბინშტეინის ტყის საწყობს მოედო. ზარალი დიდია. არიან მსხვერპლნი.

**დონის როსტოვი.** ქალაქის გამგეობამ 100,000 მანეთი გადადო ხოლერასთან საბრძოლველად.

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანებით განსაკუთრებული დაცვის წესები ბაქოს საგრადონაჩალნიკოში 4 ენკენისთვემდე დარჩება.

**პეტერბურგი.** უნივერსიტეტის არქივში ქაღალდების გადარჩევის დროს იპოვეს ტურგენიევის ნამდვილი ხელთნაწერი, რომელიც მას სამაგისტრო ეგზამენზე უწერია. ხელთნაწერი შესანახად პეტრე დიდის დარბაზში გადაეცა.

**მოსკოვი.** გაზეთი „სტუდ. ცხოვრება" გრადონაჩალნიკმა 500 მანეთით დააჯარიმა „სტუდენტობის ხმა"-ს მოთავსებისთვის.

**ლაგორი.** ფატიგარში ცენტრალურ საპატიმროში დარაჯებმა მოჰკლეს 7 და დასჭრეს 50 ტუსაღი. ისინი გაქცევას აპირებდნენ.

### ხოლერა

**პოლტავა.** კვირის განმავლობაში გუბერნიაში ხოლერით ავად გახდა 77, გარდაიცვალა 25 კაცი.

**ხვალინდელ სურათებიან დამატების შინაარსი: „მსხვერპლი" ი. გედევანიშვილისა, ლექსები: ს. ფაშალიშვილისა, გაფრინდაშვილისა და სურათები: იმერეთის უკანასკნელი დედოფალი მარიამი, მომნანებელი მაგდალინა სურ. ვ. ტიციანისა და რობერტ შუმანის სურათი.**

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **ქალაქის საბჭო.** 3 ივნისს ქალაქის ხმოსნებს უკანასკნელი სხდომა ჰქონდათ ამ სეზონში. კრებამ განიხილა საკითხი მუხრანის ხიდზე ეტლების გასასვლელ ფულის გადახდევინების შესახებ და დაადგინა, ისეთივე წესები შემოიღოს, როგორც ვერის ხიდზე არსებობს. განხილულ იქმნა აგრეთვე საკითხი ამას წინად დათხოვნილ დამფასებლების სალომბეგოვისა და შადინოვის პასუხის მგებლობის შესახებ. მცირე კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა, დაევალოს ქალაქის გამგეობასა და იურიდიულ კომისიას ვრცელი მოხსენება წარუდგინონ საბჭოს ამ საგანზე. რამდენიმე წვრილმან საკითხების განხილვის შემდეგ კრებამ ქალაქის ახალ საყასბოს აღმაშენებელ კომისიის თავმჯდომარედ აირჩია გამგეობის წევრი ა. ი. ხატისოვი. შემდეგი კრება საბჭოს ხმოსნებისა შემოდგომაზე მოხდება.

✦ **ტრამვაის დირექტორის მადლობა.** ტფ. ტრამვაის ახალმა დირექტორმა ბ-ნმა ბელოვმა ამ დღეებში ბრძანება გამოსცა. დირექტორი იხსენიებს 29 მაისის დიდ ნიაღვარს, რომელმაც ტრამვაის ვაგონების მოძრაობა შეაჩერა ამ დღეს. მეორე დღეს იყო მოსალოდნელი ვაგონების წესიერი მიმოსვლის შეფერხება, მაგრამ შიში არ გამართლდა. ამ გარემოებას დირექტორი აწერს ტრამვაის მოსამსახურეთა მხნე მუშაობასა და გამოცდილებას და მადლობას უცხადებს მათ.

✦ **ბოროტ-მოქმედის შეპყრობა.** ბაზრის ქუჩაზე სიღნაღის მაზრის სოფელ კაჭრეთის მამასახლისის ბაზიაშვილის ჩვენებით პოლიციელმა შეიპყრო ამავე სოფლის მცხოვრები ივანე ანდრიას ძე კუპრაშვილი, რომელსაც სხვა და სხვა ბოროტ მოქმედების ჩადენა ბრალდება სიღნაღის მაზრის კოდალის საზოგადოებაში. მასვე ბრალდება ცნობილ ყაჩაღის პროდიაშვილის ამხანაგობა.

✦ **რედაქტორის საქმე.** აწ დახურულ ქართულ ყოველდღიურ გაზეთის „ჩანგი"-ს რედაქტორის ლევ. დადეშქელიანის საქმე დანიშნულია ტფ. ოლქის სასამართლოში 8 ივნისისათვის. ეს საქმე წინადაც რამდენჯერმე იყო დანიშნული გასარჩევად, მაგრამ ბრალდებულის სასამართლოში გამოუცხადებლობისა გამო დღემდე ვერ გაირჩა. ლევ. დადეშქელიანი ამ ჟამად დაპატიმრებულია და ციხეში ზის. ის სისხლის სამართლის მე-129 მუხლის ძალით არის მიცემული პასუხისგებაში.

✦ **გადასახლებულთა შეპყრობა.** ტფ. პოლიციამ შეიპყრო: 2 ივნისს რაჭის მაზრის სოფ. [illegible] მცხოვრები პორფირე ივანეს ძე სულაძე, ხოლო 3 ივნისს ნახიჩევანის მაზრის სოფელ არაზის მცხოვრები მიხეილ სტეფანოვი. ესენი ადმინისტრატიული წესით იყვნენ გადასახლებულნი და თავის ნებით დაბრუნდნენ.

✦ **თავის მოკვლის განზრახვა.** 3 ივნისს ნამესტნიკის კანცელარიის სტამბის ასოთ-ამწყობმა ივანე კრავჩენკომ თავის მოკვლის განზრახვით სამჯერ ისროლა თავში სანადირო თოფი, მაგრამ ვერ მოირტყა. გატრუსა მხოლოდ ტანსაცმელი და ტანი დაიწვა. თავის მოკვლის მიზეზად დაასახელა, რომ ძაღლი გამიცოფდა, მოვკალი და მისი სიყვარულით მეც თავს ვიკლავდიო.

✦ **ყვავილი.** როგორც გავიგეთ, ქალაქის მეხუთე ნაწილში თათრებს შორის ყვავილი მძვინვარებს. საქმეს ის უფრო ართულებს, რომ ავადმყოფებს ექიმებს უმალავენ.

✦ **ივ. სპ. დოდაშვილი.** გუშინ, 4 ივნისს, კუკიის მართლმადიდებელთა სასაფლაოზე მიწას მიაბარეს რუსულ გაზეთ „ნოვაია რეჩ"-ის თანამშრომელი ივანე სპირიდონის ძე დოდაშვილი (ფსევდონიმით—არსკი).

✦ **წყალში დახრჩობა.** 3 ივნისს მუშტაიდის მახლობლად ბანაობის დროს მტკვარში დაიღრჩო პეტერბურგის რეალურ სასწავლებლის ყოფილი მოსწავლე ნიკოლოზ ლიაგოშინი.

✦ 2 ივნისიდან ტფილისში უგზოდ დაიკარგა სამოქალაქო სასწავლებლის მოსწავლე ვიქტორ სანცი.

✦ 3 ივნისს პოლიციამ ქალაქის სხვა და სხვა უბანში 40-დე უპასპორტო დააპატიმრა.

### ქუთ. სააღგილ მამულო რწმუნებულთა კრება

**1 ივნისს.**

კრების გახსნისათანავე გამგეობის თავმჯდომარემ წაიკითხა საკრედიტო კანცელარიის დირექტორის დეპეშა. პასუხი იმავე შინაარსისა იყო, როგორც თ-დ ს. წერეთლის მიერ მიღებულ დეპეშისა—საკრედიტო კანცელარია ატყობინებს, თუ ახალი რწმუნებულების არჩევანი უკანონოდაა ცნობილი, ძველებმა უნდა მიიღონ კრებაში მონაწილეობაო.

# მუნიციპალური სოციალიზმი

VIII

**საზოგადოებრივი ჰიგიენა და ბინა.**

საფრანგეთის სოციალისტების პროგრამის უკანასკნელ განყოფილებაში ჩვენ ყურადღებას შემდეგი მუხლები იქცევენ: ა) ორგანიზაცია მუნიციპალიტეტების მიერ ჰიგიენურ აბანოებისა ან სრულიად უფასოდაა ან და ისეთის ფასი, რომელიც მხოლოდ ხარჯს დაჰფარავს; ბ) აგება იმათ მიერვე ჰიგიენურ და იაფ ბინებისა; გ) ვიწრო გზათა გაფართოვება; დ) თვალყურის დაჭერა ბინებზე, სახელოსნოებზე, წყლებზე და სანოვაგეზე; ე) ნებართვის მიუცემლობა იმ შემთხვევებში, როდესაც მესაკუთრენი ანგარიშს არ უწევენ ჰიგიენის მოთხოვნილებათ შენობის აგების დროს; ვ) კომმუნალურ მიწათა გაყიდვა-გარდაცემის აღკრძალვა; (ზ) ექსპლოატაცია პირდაპირი ან გრძელვადიან ხელშეკრულებათა საშუალებით იმ ადგილთა, რომლებზედ შენობები უკვე აგებულია ან რომელნიც დანიშნულნი არიან შენობათა ასაგებად და თ) ზნე-ყოფაქცევის მეთვალ-ყურე პოლიციის გაუქმება.

ბინის საკითხი არის საკითხი საღ და იაფ სადგომების აგებისა ქალაქებში მცხოვრებ მასსათათვის. საქარხნო-საფაბრიკო ზრდასთან ერთად დასავლეთში ჩვენ ვამჩნევთ მცხოვრებთა სიჭარბეს ქალაქების ზოგი ერთ უბნებში მუშათა გამრავლების გამო, რომელნიც თითქმის ყოველთვის ესახლებიან ერთი-მეორის მეზობლად და ქარხანა-ფაბრიკების მახლობლად, ყაზარმებში ან და უზარმაზარ უსუფთაო სახლებში. მუშა ხალხის ესეთი თავმოყრა ერთ ალაგას, მის სიღარიბესა და ანტიჰიგიენურ პირობებთან ერთად, ჰქმნის და ავრცელებს ათას-ნაირ ავადმყოფობას ეპიდემიურ და არა-ეპიდემიურ ხასიათისას, რასაც შედეგად მოსდევს: სიკვდილის სიხშირე განსაკუთრებით ბავშვთა შორის, ფიზიკური გადაგვარება, ადრეული სიბერე, ზნეთა დაცემა და სხვ. და სხ. დოქტორ მალესლი მეკენზიმ, 1907 წელს გამოქვეყნებულ ლურჯ წიგნში*), იმ გამოკვლევებზე დამყარებულმა, რომელნიც მან გლაზგოს პირველ-დაწყებით სკოლებში მოახდინა, შემდეგი მოვლენა დაადასტურა: „ის ვაჟი ან ქალი, რომელთა მშობლები ერთ ოთახში სცხოვრობენ, უფრო დაბალი და მსუბუქი არიან, ვიდრე იმავე წლოვანების ბავშვები, რომელთა მშობლებს ორ ოთახიანი სადგომი აქვთ; შემდეგ ეს უკანასკნელნი უფრო ტანდაბალნი არიან, ვიდრე ისინი, რომელთა მშობლები სამ ოთახში სცხოვრობენ და სხვა. ვაჟები ორ-ოთახიან ბინებიდან 11,7 გირვ. უფრო მსუბუქნი და 4,7 დიუმით უფრო დაბალნი არიან, ვიდრე მათი ამხანაგები, რომელთა მშობლებს ოთხი ოთახი უკავიათ. წონაში განსხვავებაა ერთის წლოვანების ქალთა შორის ერთ-და-ოთხ-ოთახიან ბინებიდან უდრის 14 გირ., ტანით განსხვავება კი—5,3 დიუმს".

მაგრამ ყოველი გადამდები სენი ადვილად შეიძლება მოედვას საღ ადგილებსაც, და ჯანმრთელ და ძალით სავსე მუშების ყოლა შეძლებულ კლასების პირდაპირი ინტერესია; ამიტომ ყველა ბურჟუაზიულ პარტიების პროგრამებში ჩვენ ვხვდებით მუხლებს, რომელნიც საზოგადოებრივ ჰიგიენასა და ბინას ეხებიან. ვიდრე იაფფასიანი და ჰიგიენური ბინების საკითხის განხილვას შევუდგებოდეთ სხვა-და-სხვა სახელმწიფოში, შევნიშნავთ აქვე, რომ საგადოებრივ ჰიგიენის მოთხოვნილებანი ხშირად ეჯახება საკუთრების აბსოლუტურ უფლებას მიწაზე და სახლებზე. ამიტომ, თუ ისეთი კანონები არ გამოიცა, რომელნიც ამ უფლებას ზღუდავენ, მრავალი სანიტარულ-ჰიგიენური ბრძანებანი და წესები უშედეგოთ დარჩებიან. არ რატომაც ბევრ სახელმწიფოში არსებობენ კანონები, რომელნიც აძლევენ ქალაქებს უფლებას ადგილ-მამულთა იძულებით ექსპროპრიაციისას საზოგადოებრივ ჯანმრთელობის მიზნების განსახორციელებლად, ექსპროპრიაციის ესეთი უფლება მიცემული აქვს. მაგ., ინგლისის ქალაქებს და 1890 კანონით.

ბინების აგება—მოწყობის საქმეშიც პირველობა სხვა სახელმწიფოთა შორის ინგლისს ეკუთვნის, თვით ინგლისში-კი — ლონდონს, რომლის მუნიციპალიტეტმა მრავალი მილიონი ფული დახარჯა ამ საქმეზე. ინგლისის მუშებმა გაუსწრეს კონტინენტალურ სახელმწიფოთა მუშებს იმ მხრივ, რომ მათი მოთხოვნილებანი ბინების შესახებ უფრო ფართოა, ვიდრე ამ უკანასკნელთა. ყოველი ინგლისელი მუშა ჰფიქრობს გაიჩინოს თავისი საკუთარი პატარა სახლი ეზოთი, პაწაწა კორდით, დაფნის ხეებით, ვარდ-გვირილებით და სხ. ესე იგი, რაღაც პატარა კოშკის მსგავსი, რომელსაც ირგვლივ შემოვლებული თხრილი ჰყოფს დანარჩენ ქვეყნიდან; ინგლისელს არ უყვარს სახლები საერთო კიბეებით და მრავალის მდგმურებით. კონტინენტზე კი მუშათა მოთხოვნილება ასე შორს როდი მიდის. ფრანგი ან გერმანელი მუშა ჰკმაყოფილდება რამდენიმე ოთახიან უბრალო ბინით უზარმაზარ სახლში რომელიმე ბინძურ უბანში, სადაც მუდამ ყიჟინი და ხმაურობაა; ის არავითარ ყურადღებას არ აქცევს არც ეზოს სისუფთავეს, არც მცენარეულობის უქონლობას, არც საერთო შესავალთა უხერხულობას და სხ.

აქ ბინის საკითხის გარდასაწყვეტად მუშაობენ როგორც მუნიციპალიტეტები, ისე კოოპერატიული საზოგადოებანი და კერძო პირნი. მიუხედავად ამ სიძნელეთა, რომელნიც ეღობებიან ქალაქებს მსხვილ მიწათმფლობელთა—ლენდლორდთა მხრივ (ესენი ერთობ ძნელად უთმობენ თავიანთ ადგილებს იაფ-ფასიან ბინების ასაგებად), პირველებმა მაინც მოახერხეს მიწების ყიდვა ამ უკანასკნელთაგან და ააშენეს ზედ 12,165 მოზრდილი სახლი—27,523 ოთახით, 3,830 კოტეჯი (სოფლის მუშათა ბინები) 17,611 ოთახით და 2,507 პატარა სახლები 6,068 ოთახით. ზოგიერთ ქალაქებმა გააშენეს კოტეჯები, რომლებშიც ცალკე მთელი სართულები ქირავდება ცალკე კიბეებით. ამისთანა კოტეჯები ეხლა ორი ათასამდეა. აი თითქმის ყოველივე ის, რაც მხოლოდ ინგლისის მუნიციპალიტეტებს გაუკეთებია ბინის საკითხის სფეროში.

კერძო ხასიათის დაწესებულებათაგან უნდა აღვნიშნოთ ცდა საპნის ქარხნის პატრონისა ლივერისა და შოკოლადის ფაბრიკანტის კალბერისა. იმათ გააშენეს ორი იდეალური სოფელი (ერთი ლივერპულის მახლობლად, მეორე ბირმინგამთან) მშვენიერი პატარა სახლებით, ეზოებით, ყვავილებით, კორდებით და სხვა კომფორტით.

დასასრულ კოოპერატიულ საზოგადოებებმაც ააგეს ინგლისში თავიანთ წევრთათვის 46,707 სახლი ას მილიონ მანეთად ღირებული.

ინგლისს კონტინენტალური სახელმწიფოები მოსდევენ.

შვეიცარიაში,*) იმ კანონის წყალობით, რომელიც საზოგადოებრივ მიზნებისათვის მიწების ექსპროპრიაციის უფლებას აძლევს ქალაქებს, ბევრმა მუნიციპალიტეტმა მთელი უბნები შეისყიდა და ზედ საღი, იაფ-ფასიანი ბინები ააგო. ამ გვარ ბინების აშენება პირველად ქალაქ ბერნის მუნიციპალიტეტმა დაიწყო. მიუხედავათ იმისა, რომ ბინების ქირა ერთობ დაბალია, ქალაქი $3^1/_2\%$ მოგებას იღებს დახარჯულ კაპიტალზე, ბერნს მიჰბაძა ნევშატელმა, ლოზანნამ, ბაზელმა, ციურიხმა და ჟენევამ.

ამასვე ვხედავთ ბელგიასა და გერმანიაში, სადაც მთელი უბნები გაჩნდა ასეთ ბინებისაგან. უფრო ცუდად დაყენებულია ეს საქმე საფრანგეთსა, ავსტრო-უნგრეთსა და იტალიაში.

მაგრამ ბინის საკითხის გარდაწყვეტა საზოგადოებრივის ჰიგიენის თვალსაზრისით მარტო იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ახალი სახლები აშენდეს ჰიგიენურ პირობათა მიხედვით, ქალაქებში მდებარე სახლები, რომელნიც ჰიგიენის ელემენტარულ მოთხოვნილებასაც კი ვერ აკმაყოფილებენ, მეტად საშიშარ წრეს წარმოადგენენ ჯანმრთელობისათვის. ესეთ სახლებზე თვალყურის დაჭერა არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ახალ შენობათა აგება მშრომელ ხალხისათვის. ამ მიზნით სოციალისტები თხოულობენ სერიოზულ, სასტიკ სანიტარულ ინსპექციის ორგანიზაციას, რომელსაც უნდა დაეკისროს ორგვარი მოვალეობა: ერთის მხრით თვალ-ყურის დაჭერა უკვე არსებულ სახლებსა, სახელოსნოებსა და სხვა შენობებზე და მეორე მხრით იმ შენობებზე, რომელთაც კერძო პირები აგებენ ახალ მოთხოვნილებათა მიხედვით.

მაგრამ ხშირად არის ხოლმე, რომ მთელი უბანი გადამდებ სენთა კერაა ან და თითქმის ერთიანად ისეთის სახლებისაგან შედგება, რომელნიც ერთობ დაძველებულია, ერთობ საშიშია საცხოვრებლად. რა შეუძლია ასეთ შემთხვევებში ინსპექციას? არაფერი, ვინაიდგან ჩვეულებრივი საშუალებანი აქ არარას შველის. ამისთანა შემთხვევებში სრული აღება ყველა შენობათა და თავისუფალ სივრცეთ გარდაქცევა უბნისა უკეთესი გარდაწყვეტაა საკითხისა. 1886 წელს გამოცემულ კანონის ძალით, ინგლისში მუნციპალიტეტები შეუდგნენ სანიტარულის მხრივ უვარგის სახლების აღებას. ლივერპულმა აიღო უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში 1200 სახლი; ბირმინგამმა — 4000, ლონდონმა 1875—82 წლების განმავლობაში—4000.

ჩვენ ზემოდაც მოვიხსენეთ, თუ რა დიდი, დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს ყველა თავისუფალ ადგილების გარდასვლას კომუნის ხელ-

*) იხ. დილონის წერილი ინგლისიდან გაზ. „Рѣчь", 1907 წ., N 335.

*) იხ. Ачадовъ „Муницип. промыш. предпр. и пр.", გვ. 48—49.

მიუხედავად ასეთ ორჭოფ პასუხისა, კრება, თითქო ახალი არჩევანი კანონიერად მომხდარიყოს, მიმდინარე საქმეთა განხილვას შეუდგა.

თავმჯდომარემ წინადადება მისცა ზედამხედველ კომიტეტს თავისი მოქმედების ანგარიში წაეკითხა. ამასთანავე თავმჯდომარემ კრებას წინადადება მისცა თავისი აზრი გამოსთქვას წლიურ ანგარიშის შესახებ.

კრება სდუმდა.

თავმჯდომარე კვლავ შეეკითხა— ამტკიცებთ თუ არა ანგარიშს? ისევ სიჩუმე იყო. თავმჯდომარე თითქო დაკმაყოფილდა ამ სიჩუმით და დროებით შესწყვიტა კრება.

კრების განახლების შემდეგ მთელი ბაასი ასტყდა იმის შესახებ, დამტკიცებულია თუ არა ანგარიში.

**თავმჯდომარე.** მე რამდენჯერმე შეგეკითხეთ, ამტკიცებთ თუ არა ანგარიშს და არც ერთმა თქვენგანმა არ ინდომა ხმის ამოღება და ამიტომ მე ანგარიში დამტკიცებულად მიმაჩნია.

**ზ. კ. მაჭავარიანი.** ანგარიშთან მჭიდროდ არის დაკავშირებული მოხსენება ბანკზე დარჩენილ მამულების შესახებ და სხვა მოხსენებანი. ვიდრე არ განვიხილავთ ამ საგნებს, შეუძლებლად მიმაჩნია ანგარიშის განხილვა და დამტკიცება. ამავე აზრისა იყო ა. გოკიელოვი და სხვა რწმუნებულნი და კრება შეუდგა გამგეობის წევრის ბ. წერეთლის მოხსენების განხილვას ბანკზე დარჩენილ მამულების მართვა-გამგეობის შესახებ,

მოხსენება აღნიშნავს, რომ ამ მამულების შემოსავალს უმატნია შარშანდელთან შედარებით 15.582 მანეთით. წარსული წლის განმავლობაში ბანკს დარჩენილ მამულებში 86 გაუნაღდებია გაყიდვით და ძველ მეპატრონეთა დაბრუნებით, 29 გაყიდულ მამულში ბანკს 11 მამული გაუყიდნია 8,687 მანეთის მოგებით და 8—7.097 მანეთის წაგებით 1909 წლის 1 იანვრამდის გაყიდულ მამულებიდან, ბანკს უკანვე დაბრუნებია 22 ქალაქისა და 43 სოფლის მამული. შემდეგ მოხსენებაში აღნუსხულია ის ზომები, რომელნიც თ. წერეთელს მიუღია, როგორც ბანკზე დარჩენილ მამულების გამგეს.

**ს. ლ. ბახტაძე.** მოხსენებაში აღნიშნულია, რომ 1909 წლამდის გაყიდული მამულისაგან 65 ბანკს უკანვე დაუბრუნდა, რითი აიხსნება ეს მოვლენა? სასურველია ენ გაგვიმარტოს გამგეობამ. იქნება მამულების გაყიდვას ფიქტიური ხასიათი აქვს და შუაკაცნი, კურტაჟით დაინტერესებულნი, ხელს უწყობენ ასეთს არანორმალურ მოვლენას?!

**ი. ბ. ჯაიანი.** შუა-კაცთა დახმარებით დიდი საქმეა, რომ ხუთი მამული იყოს გაყიდული; უმეტეს ნაწილად თვით ბანკის გამგეობა ჰყიდის მამულებს და ამიტომ აქ კომისიონერები შუაში არ არიან.

**მ. გ. ფალავა.** თუ ბანკზე დარჩენილი მამულები ჩვენ მუდმივ მზრუნველობას უნდა შეადგენდეს, არც ისინი არიან დასავიწყებელნი, რომელთაც მამული შემოგვატოვეს. ამათ შორის არიან ისეთნი, რომელნიც 15 წლისა განმავლობაში იხდიდენ გადასახადს და მერე რევოლუციამ როცა მოუსწრო გადასახადს ველარ გაუძლეს, მამული დავალიანდა და ხელიდგან გამოეცალა მეპატრონეს. ჩემის ფიქრით ბანკის ინტერესი მოითხოვს, რომ ამნაირ მესესხებლებს საშველი ხელი გაუწოდოთ. ჩვენ მათ ნება უნდა მივსცეთ, ბანკზე დარჩენილ მამულებზე ახალი სესხი აიღონ, მით გაისტუმრონ როგორც ნედოიმკები ისე ვალი.

**ს. გ. მიქელაძე.** თ—დი ფალავას აზრი კარგი იქნებოდა რომ მამულების დავალიანების მიზეზი მარტო რევოლუცია იყოს. ყველასათვის ცხადია, რომ ბანკზე მამულების დარჩენამ პროგრესიული ხასიათი მიიღო და თ—დი ფალავას საშუალება სატკივარს მალამოს ვერ დასდებს.

**ბ. ი. გოკიელოვი.** სესხის განახლების უფლებას თვით ჩვენი წესდება აძლევს მესესხებელს, როცა იგი ძირითადი ვალიდან 1/5 გაისტუმრებს და ამას ჩვენ ვერ ავუხვევთ. რაც შეეხება თ—დ ბ. წერეთლის განცხადებას, რომ ბანკზე დარჩენილ მამულების შემოსავალმა იმატა, უნდა შევნიშნო, რომ აქ გამგეობა არაფერ შუაშია, რადგან კრებამ მოითხოვა მამულების იჯარით გაცემა და ამის განხორციელებამ მოიტანა ეს შედეგი. ხოლო 61 ათასი მანეთის შემოსავალი ორ მილიონ ღირებულ მამულებიდგან, თუ მივიღებთ მხედველობაში ამ მამულების მართვა-გამგეობის ხარჯსაც, ვალის ერთს ან 1/2 % შეადგენს, იმ დროს როცა ჩვენ უნდა ვიხადოთ 7% მეტი.

**ი. ბ. ჯაიანი.** თ—დი ფალავას მიერ აღნიშნული ზომა ბანკს სარგებლობას მოუტანს და გამგეობამ რამდენიმე შემთხვევაში განახორციელა იგი.

**ბ. მახუშვილი.** საზოგადოდ, ბანკზე დარჩენილ მამულების მართვა-გამგეობის შესახებ აღვნიშნავ შემდეგს: ა) მამულის გამგენი თავ-თავის რაიონებში არა სცხოვრებენ, ამნაირად არც მართვა-გამგეობაა ხეირიანი და ბანკსაც ზედ-მეტ ხარჯს ართმევს გამგეთა მისვლა-მოსვლის გამო. ბ) ბანკის გამგეობა ზომებს არა ღებულობს, დარჩენილი მამული მოგებით გაიყიდოს, როცა ეს შესაძლებელია; გ) შარშანდელი მოსავალი სიმინდისა, როგორც მოხსენებიდგან სჩანს, დღესაც არ არის გაყიდული, თუმცა სიმინდის ფასმა საგრძნობლად დაიწია. დ) ბანკის ანგარიშები და მოხსენებანი კრების წინა დღით გვირიგდება, და სასურველია გამგეობამ კრების ორი კვირის წინად დაამზადოს ყოველივე, რომ ჩვენ შეძლება მოგვეცეს საქმის რიგიანად გაცნობისა.

**ბ. ს. საყვარელიძე.** თ-დ ფალავას რომ დაუჯეროთ, სულ უბრალო საშუალება ყოფილა საჭირო, რომ ბანკმა თავისი საქმეები გამოაკეთოს და ამასთან მესესხებელნიც კმაყოფილნი დარჩნენ, მაგრამ სინამდვილე ისეთი მარტივი არ არის, როგორც თ-დ ფალავას ჰგონია. მამულების დავალიანება შემთხვევითი საქმე არაა—მას უფრო ღრმა მიზეზები აქვს და პალიატივები ვერაფერ მალამოს ვერ დასდებენ. ფალავას მიერ ნაჩვენები გზა სამშვიდობოზე ვერ გაგვიყვანს და თუ გვინდა საქმე გამოვასწოროთ, რეჟიმი უნდა შევქმნათ დაწესებულებაში; გულ-ჩვილობა, შეცოდება, ვალის შემოტანის გადადება და ამით მესესხებლის მდგომარეობის გაძნელება და არა გაადვილება, ჩვენი ლექსიკონიდგან უნდა ამოიშალოს და მაშინ დღევანდელ სურათებს ადგილი აღარ ექნება ჩვენს დაწესებულებაში.

**თ-დ დ. მიქელაძეს** რამდენიმე მაგალითი მოჰყავს იმისი, თუ რა ნაირად შეიძლება ბანკზე დარჩენილი მამული ხელმეორეთ დაგირავდეს იმ პირობით, რომ ახალი სესხით დაიფარება როგორც მამულზე დარჩენილი ძირითადი ვალი, ისე ნედოიმკებიც.

**კ. დ. ბაქრაძე.** ისეთი მამული, როგორზედაც თ-დი ფალავა ლაპარაკობს მეტად მცირეა; უმეტეს შემთხვევაში ძირითადი ვალი და ნედოიმკები მამულის ფასს აღემატებიან და ამიტომ ვერც ეს, ვითომდა მხსნელი კომბინაცია განხორციელდება.

ჩვენი სავალალო საგანი ტფილისის მამულებია—ისინი არიან ჩვენი ზარალის დასაბამი და მათ უნდა გავუწიოთ ანგარიში. ჩემის ფიქრით, ეს მამულები ნაღდ ფულად უნდა გავყიდოთ, თუნდაც გაცემული სესხის ნახევარიც რომ ავიღოთ. რაც შეეხება სოფლის მამულებს, ისინი ჩვენ უნდა გავანაწილოთ და ამით მშრომელ ხალხს საშუალება მივცეთ შეიძინონ მამული ნაწილ-ნაწილად.

**თ-დი ფალავა.** ჩემი აზრი ადვილი გასაგებია და არ მესმის, რატომ არ უნდათ მისი გაგება. მე ვამბობ, რომ ბანკზე დარჩენილ მამულების პატრონებს მიეცეთ ის უფლება, რომელიც მესესხებელთ აქვთ, როცა მათ ძირითად ვალის 1/5 ნაწილი გადახდილი აქვთ. საცა ეს პირობები არ იქნება, იქ შეუძლებელია ახალი გირაოს გაცემა.

უკვე შუაღამე შესრულდა, რწმუნებულნი წავიდ-წამოვიდნენ. თავმჯდომარემ კრება დახურა. შემდეგი კრება დაინიშნა 2 ივნისის საღამოსთვის.

## პატარა შენიშვნები

როდესაც რომელიმე ერის ცხოვრება აწეწილ-დაწეწილია, როდესაც მისი სასიცოცხლო მაჯის ცემა მისუსტებულია და უიმედო მოდადუდს ნაბიჯს უგულობა და აპატია ატყვია, მაშინ მისთვის უიმედოდ მოქმედება სასიკეთოა, როგორიც უნდა იყოს იგი, ოღონდ კი მძლავრად შეარყიოს დაგუბებული ჭაერი; ოღონდ კი აღაშფოთოს საზოგადოება, გამოიწვიოს იმაში ან ძლიერი აღფრთოვანება და ან ძლიერი გულის წყრომა.

უცვლელად ვსტყობთ, რომ ჩვენი აწინდელი მდგომარეობა, რადაც უფერულია; საზოგადოებაში რადაც გულგრილობაა გამეფებული. და ეს უიმედობა, რომელიც თითქმის სასოწარკვეთილებისა საზღვრებამდე მიღწეული ნათლად იხატება ჩვენს პრესაში. იშვიათად შეგვხვდება ამ უკანასკნელ სამი ოთხი წლის მწერლობაში ერთი იმედის მომცველი წერილი, რომელ კუთხესაც არ უნდა შეეხოს ავტორი, უიმედო სურათი ხომ მთელი ქვეყნისა უიმედობას ჰბადებს მის გულში. იყო დრო, როდესაც ჩვენი ერი მაშინ უფრო მხნეობდა, იკრებდა ძალას, იღვიძებდა ძალას, იმედოვნებდა სულის ძლიერებას, როდესაც ჭირი კარზე მოადგებოდა, როდესაც მთელი ქვეყნის ბედ იღბალი, მისი ყოფნის თუ არ ყოფნის საკითხი ბეწვზე-და ეკიდა. რამდენიც მეტი იყო და ძლიერი მოზღვავებული მტერი, მით უმეტესის სიფიცხით ეკვეთებოდა ერთი მუჭა ქართველთა ჯარი და დამარცხებაც კი არ უტეხდა მათ სამერმისოდ იმედს. ახლა კი ერთი საეჭვო დამარცხება, ერთი საწყენი მოვლენა, ერთი სამში მდგომარეობა საკმარისია გაგვითვითოს და შიშის ზარი დაგვცეს; მაშინვე კაეშანი შეგვიპყრობს, სრულიად ვიღუნებით ხოლმე. ეს ნაღვლიანობა ჩვენ ამ მოკლე ხანში არ შეგვიძენია; იგი ჩვენ დიდი ხანია დაგვყვება. ამის მოწმეა ჩვენი მწერლობა მე 19 საუკუნისა, რომლის განმავლობაში ჩვენი ბრწყინვალე მგოსნები დასტიროდნენ „ბედს ქართლისას“, „ჩვენს ერთობას დაკარგულს“ და სხ. ამაზედა სთქვა აკაკიმ:

„ნაღვლიანობა ხარკია
დღევანდელ ჩვენის ბედისა
და სიტკბოება-ოცნება
შორეულ სხვა იმედისა...“

მოგმართოთ სხვა ჰანგზე ჩვენი ქნარი, თორემ ვაი თუ მივეჩვიოთ ასეთ წუწუნს, ვაი თუ შემდეგშიაც ისევ ისე ჩვენის ცხოვრების მეზღვაურთ გაჩითდეს ვიდრე იმედიანად დაძახება:

„არა, ააყვავდეს იმედი,
გულს ვერ გამიტეხს ჭადარა!“ -თ.

აი ასეთ დროს საჭიროა გამუდმებული სიფხიზლე, რომ საზოგადოება მოსვენება არ მიეცეს, თორემ წაძინება ამ დროს ისეთივე სახიფათოა, როგორც ყინვით გათოშილისათვის. ცხოვრებას ერთი წამითაც თვალები არ უნდა მოუხუჭოს, თორემ გადაგვთელავს— გვაწყვეტს მრავალგზით გამოცდილი იდეა.

* *

ჩვენი ინტელიგენციაც ინსტინქტიურად ეძებს თავის აზრთა გამოსახატავად ისეთს ფორმას, რომელმაც უნებლიეთაც კი მიიქციოს მკითხველთა ყურადღება. შარშან პეტერბურგის უნივერსიტეტში სტუდენტებმა გაასამართლეს თანამედროვე მწერლები: კუპრინი, სოლოგუბი, არციბაშევი პორნოგრაფიისა და სადიზმის გავრცელებისათვის, რომელიც რუსულ კანონებში 1001 სტატიის ძალით ისჯება. თუმცა შეიძლება ბევრი იყო შეცდომა ამ პროცესების მოწყობაში, როგორც ეს პროგრესიულმა პრესამ აღნიშნა, მაგრამ მაინც საამო სასმენი იყო ცეცხლის მფრქვეველ ორატორთა სიტყვები, განსაკუთრებით იქ, სადაც ისინი წმინდა ლიტერატურულ კრიტიკას იძლეოდენ და კანონიერების ან უკანონობის საზღვრებით არა ზღუდავდენ თავისუფალს პოეტიურს შემოქმედებას. წრეულს ჩვენი საზოგადოებაც დაინტერესებულა ასეთი ლიტერატურული სამსჯავროთი და საჭიროა, სანამ ბაასის ეს ფორმაც საზოგადოებას მოჰბეზრდებოდეს, გაარჩეს რამდენიმე საინტერესო საკითხები. იმ მნიშვნელობათ გარდა, რომელიც შ. მესხიშვილმა აღნიშნა თავის წერილში, ასეთ გასამართლებას კიდევ ის მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, რომ საზოგადოება ძალა-უნებურად ეცნობა ისეთ ნაწარმოებთ, რომელთაც ისინი შეიძლება უამისოთ არ გაცნობოდენ, რადგანაც ჩვენში ყოველივე ეროვნული და თავისებური ძლიერ ათვალისწუნებულია. სიტყვებიც შეიძლება [illegible] გრძელი დასაბუთებული [illegible] გარდა მჭერმეტყველებისა და დამაჯერებელი გამოთქმისა საზოგადოებას გონების სავარჯიშოთ ჩამაფიქრებელი საკითხებიც უნდა აღძრან. მასთან სასურველია თვით მსმენელებმაც მეტი მონაწილეობა მიიღონ პროცესში. საზოგადოებისათვის ისეთი საკითხები იქნება საინტერესო და სასარგებლო, რომელთაც სადღეისო მდგომარეობასთან აქვს კავშირი.

ბორჩ—ელი.

## საცხენისის სამეურნეო სასწავლებელი კახეთში

გაზეთ „ნ. რ.“ მე-114 ნომერში ბ-ნი ტ—ძე სამართლიანად ეხება საცხენისის სამეურნეო სასწავლებელს, რომელიც აგერ 35 წელიწადია არსებობს, მაგრამ სარგებლობას ძრიელ ცოტასა ვხედავთ.

საცხენისის პირველ დაწყებითი ორ კლასიანი სასწავლებელი სამეურნეო განყოფილებით დაარსებულია 1875 წელს ს. საცხენისში, სადაც რუსის გლეხობა მოსახლეობს. ეს ადგილი ციებ-ცხელებიანი აღმოჩნდა, რისთვისაც სასწავლებელი გადმოიტანეს ს. ყვარელში 1894 წელს და აქამომდე აქ არსებობს, ყვარლის მოუსვენარი ხევი დურუჯი, რომელსაც ბევრჯელ აუტირებია სოფლელნი, არც ამ სასწავლებელს ინდობს და დროგამოშვებით საგრძნობელ ზარალს აძლევს. მაისში და 1906 წლის 17 აგვისტოს სტიქიონის ძალამ თითქვა-ქვაზე არა დასტოვა რა და სხვათა შორის იმსხვერპლა 7 მოსწავლე, მთელი შენობა წყლით და სილით გაავსო, რიყედ აქცია. 10 დესეტინა ვაზიანი და ხილის ბაღი გააფუჭა, სამეურნეო იარაღები გაანადგურა და სხვ. კიდევ კარგი აგვისტოში მოხდა, როცა ცოტა მოსწავლენი იყვნენ, თორემ სხვა დროს მთელი სასწავლებლის მოსწავლენი წყლის მსხვერპლი გახდებოდნენ.

რასაკვირველია ამ სასწავლებელს არც წინად მოჰქონდა სასურველი ნაყოფი კახეთის მცხოვრებთათვის და ამ წყალ-დიდობის შემდეგ ხომ მისი სარგებლობა მინიმუმზე ჩამოვიდა. ჯერ ისევ 1906 წლის გასულს აღიძრა კითხვა ამ სასწავლებლის სხვაგან გადატანაზე, რადგან იქ დატოვება შესაძლებელი არ იყო, აპირობდნენ ისევ ძველ ადგილას—სოფ. საცხენისში გადატანას, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა და ამნაირად ისევ ყვარელში დარჩა.

ეხლა აგრონომი ს. ხუნდაძე, საფუძვლიანად გაცნობის შემდეგ, ცხადჰყოფს ეს სასწავლებელი სამწუხარო მდგომარეობაში იმყოფება.

---

ში. სოციალისტები, რომელთაც ძლიერ კარგად შეიგნეს ფასი თავისუფალ სივრცეთა ადგილობრივ თვითმართველობისთვის, ეგრე თავგამოდებით იბრძვიან იმისათვის, რომ დაკანონდეს კომუნალურ ადგილების გაუყიდველობა. იმ თავისუფალ ადგილებით, რომელნიც შენობის ასაგებად არიან გამოსადეგნი, ქალაქები სარგებლობენ უმთავრესად ეგრე მომწიფებულ ბინის საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც დიდ ცენტრებში დიაღ რომ საჭირბოროტო, მწვავე საკითხია დღეს-დღეობით. დანარჩენ თავისუფალ სივრცეს კი სხვაგვარად იყენებენ—აწყობენ სასეირნო ადგილებს, სათამაშო მოედნებს და სხ.

თავისუფალ ადგილებს ყველაზე უკეთ ამერიკელები იყენებენ: ისინი არავითარ საშუალებას არ ჰზოგავენ, რომ გააშენონ რაც შეიძლება მეტი პარკები, ბაღების სკვერები და სხ. ამ მიზნისათვის ისინი დიდ სესხების აღებასაც კი არ ერიდებიან, ვინაიდგან მათ თვალში ესეთი სესხები უსარგებლოდ არ ჩაითვლება. ჩიკაგომ, ბოსტონმა და ნიუ-იორკმა მილიონები დახარჯეს, რათა ელოთ მთელი წყებები სახლებისა და მცხოვრებლებისათვის მეტი ჰაერი მიეცათ. დასავლეთ ევროპის მჭიდროთ დასახლებულ ცენტრებშიც ამასვე ვამჩნევთ ამ ბოლო დროს: აქაც დიდათ ეცადინეობენ მუნციპალიტეტები თავისუფალ მიწების შესაძენად. აქაც პირველ რიგზე უნდა დავაყენოთ ინგლისი, სადაც ძველ ქალაქების გარდაკეთებასა და გაუმჯობესობაზე დიდი ფული იხარჯება. მარტო ლონდონი ხარჯავს ყოველ წლივ ექვს მილიონამდე პარკებსა და სასეირნო ადგილებზე. თავისუფალ სივრცეთა შეძენით და შეძენილის დაცვით თავი იჩინეს გერმანიაში მიუნხენმა, დარმშტატმა, ალტონამ, ფრანკფურტმა, ბრემენმა და სხ., ავსტრიაში კი—ვენამ. საფრანგეთს ერთი უკანასკნელ ადგილთაგანი უკავია. ცალკე მთავარ ქალაქებს რომ მივმართოთ, ჩვენ ვხედავთ შემდეგს: იმ ადგილთა სივრცე, რომელნიც პარკებს უკავია, ლონდონში 1,168 ჰექტარს უდრის, ბერლინში — 411 ჰექტარს, პარიზში, (ბულიონის და ვენსენის ტყეები არ ჩავთვალეთ) — 214 ჰექტარს, ეს კია, რომ თუ პარიზმა მოახერხა იმ მიწების შესყიდვა სამხედრო სამინისტროსაგან, რომელნიც ქალაქის ირგვლივ შემოვლებულ სიმაგრეს უკავია, და თუ ეს მიწები სასეირნო და სათამაშო ადგილებად აქცია, როგორც ამას კაი ხანია სოციალისტები სცდილობენ, მაშინ პარიზის თავისუფალ ადგილების სივრცე შესამჩნევად იმატებს. *)

თავის თავათ ცხადია, რომ ჯანმრთელობისათვის მარტო ბინა და სუფთა ჰაერი არ არის საკმარისი. ღარიბი მშრომელი ელემენტები დიდ განსაცდელში ვარდებიან ხოლმე საღ და საკმაო საზრდოს უქონლობისა გამოც. ისინი იაფ-ფასიან საზრდოს ეტანებიან, რომელიც თითქმის ყოველთვის ან ცუდი თვისების ან კიდევ ნამდვილი ფალსიფიკაციაა· ეს უკანასკნელი, რომელიც რაც დრო გადის, მით უფრო მეტს ახალ-ახალ პროდუქტებს იპყრობს, ერთი უდიდესი ბოროტებათაგანია თანამედროვე კაპიტალისტურ წარმოების და განსაკუთრებით გავრცელებულია სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებში, ესე იგი იქ, სადაც მუშათა მასებს მრავლად მოუყრია თავი. სოციალსტურ პროპაგანდასაც ამიტომ ერთ-ერთ თავის მიზნად მუშების საღ საზრდოსათვის ბრძოლა დაუსახავს ყოველგვარ სიყალბის, ყოველგვარ მატყუვრობის წინააღმდეგ სანოვაგეთა მიწოდების საქმეში აქაც საზრდოობის საგნებზე თვალყურის დაჭერა პირველ ყოვლისა კომუნებს ეკისრება.

ვარგისია თუ არა ესა თუ ის საჭმელი და სასმელი, ამას განსაკუთრებული ლაბორატორიები იკვლევს, ამისათვისვე შემოღებულია სპეციალური ინსპექციები, სავაჭრო ადგილებზე მეთვალყურენი და სხ., რომელნიც ყველა კეთილ განწყობილ ქალაქებში არსებობენ. მაგრამ მარტო ეს ზომები საქმეს ბევრს არა შველის. იმისათვის, რომ დღეს ესე გავრცელებული ბოროტება ძირეულათ აღმოიფხვრას, საჭიროა კომუნებმა კიდევ ბევრი რამ განახორციელონ და განსაკუთრებით ხელში ჩაიგდონ ზოგიერთ საგნებით ვაჭრობა. ბევრი ქალაქი დაადგა უკვე ამ გზას და მოაწყო თავიანთი საკუთარი ვაჭრობა პურით, ხორცით, რძით და სხ. იტალიაში *) ძალიან გავრცელებულია მუნიციპალური ფურნეები. ინგლისში ჩესტერფილდი, გლაზგო და მანჩესტერი პურით ვაჭრობენ, უკანასკნელი, გარდა ამისა, ხორცითაც. ხედერსფილდი ჰყიდის მარტო ხორცს. ქალაქები ს.-ელენსი, ლივერპული, ნოტინგემი, ედინბურგი, გლაზგო და სხ. აწარმოებენ ყოველ ფერმენტისაგან დაწმენდილ რძის ვაჭრობას მხოლოთ იმიტომ, რომ შეამცირონ ბავშთა სიკვდილიანობა.

საზოგადოებრივ ჯანმრთელობის დამცველ ზომათა შორის არა უკანასკნელი ადგილი უკავია სახალხო აბანოების, სამრეცხველოების და ფართო გზების მოწყობას. ბევრმა ევროპიელმა ქალაქმა თავს იდვა ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება; იაფ-ფასიანი აბანოები და სამრეცხველოები ეხლა ბევრს ადგილას მოიპოვება. ამ მხრივ **) ინგლისელ ქალაქების გარდა, სადაც მრავალი მუნიციპალური აბანოებია სამრეცხველოებთან ერთათ შეერთებული, განთქმულია ქალაქები მიუნხენი, ტურინი და ციურიხი. მეტადრე შესანიშნავია სახალხო აბანოები მიუნხენში, სადაც ისინი ხელოვნების ნამდვილ საკვირველებას წარმოადგენენ. აბანოებში შესასვლელი ფასი ამ ქალაქებში $2^1/_2$ კაპ. 20 კაპეიკამდეა. მიუნხენის და ციურიხის აბანოებში სრულიად არაფერს არ ახდევინებენ. მუნიციპალური აბანოები მილანოში, ბოლონიაში, ფერრაში არაფერს არ ახდევინებენ მოსწავლეებს, ტერმინი— იმპერეზეში და ს.-კასჩიანო-დი-ბანში—ღარიბებს. გერმანიაში უფასო აბანოები არსებობენ მხოლოდ სკოლებთან.

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ იმ ზომებს, რომელთაც მუნიციპალიტეტები ღებულობენ ქალაქების განმრთელებისათვის, ეს ცხადად სჩანს სიკვდილიანობის შემცირების ფაქტზე ყველგან, სადაც კი ქალაქებს ცოტათ თუ მეტათ კეთილ-განწყობილი სახე მიუღია. მიუნხენში მესამოცდა-ათე წლების დასაწყისს სიკვდილის კოეფიციენტი უდრიდა 40 ათასზე; მესამოცდაათე წლების ნახევარში მუნიციპალიტეტი შეუდგა ქალაქის განმრთელებას, მოაწყო კანალიზაცია, წყლის-საყვანი, ქუჩების დასუფთავება, სახლებიდან უსუფთაობის გატანა და სხვ. ამის შედეგი ის იყო, რომ სიკვდილის კოეფიცენტი 1095 წ. 20-დე ჩამოვიდა. მიმდინარე საუკუნის დასაწყისს სიკვდილის კოეფ. ინგლისის ქალაქებში 16,2 შეადგენდა ათასზე, გერმანიის ქალაქებში— 19,8, საფრანგეთის ქალაქებში 19,6, ბელგიის ქალაქებში—17,4 ათასზე, რუსეთში ეს რიცხვი 33 უდრიდა ათასზე, მაგრამ არის იმისთანა ქალაქებიც, სადაც უფრო მეტი ჰკვდება, ვიდრე იბადება. რუსეთის ქალაქები რომ დასავლეთ ევროპის ქალაქების დონეზე იდგნენ, მათ შეეძლოთ ყოველ წლივ 260,000 ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა, საზოგადოებრივ ჰიგიენის მხრივ პრიმიტიულ მდგომარეობაშია რუსეთი. აქ იშვიათი არ არის ისეთი ქალაქები, სადაც არ არსებობს არავითარი სანიტარული ორგანიზაცია; არც კომუნალური, არც მთავრობისა, სადაც არ მოიპოვებიან არავითარი საერთოთ ცნობილნი დაწესებულებანი სანიტარულ-ჰიგიენურ ხასიათისა (ლაბორატორიები, სადეზინფექციო კამერები, მუნიციპალური მაღაზიები დაწმენდილ რძის გასასყიდათ და სხ.). არას ვამბობთ ისეთ დიდ მნიშვნელობის საქმეზე, როგორიც არის კანალიზაცია, რომელიც მთელ იმპერიაში მხოლოდ რამდენიმე ქალაქს აქვს გამართული, არას ვამბობთ წყლისაყვანზე, რომელსაც მოკლებულია ჯერ კიდევ ბევრი ქალაქი. ბინის საკითხი კი რუსეთის ქალაქების დიდ უძეტესობისათვის სულაც არ არსებობს. მაშინ როდესაც დასავლეთ ევროპის ქალაქები დიდ ფულს ხარჯავენ მიწის შესაძენად, რათა მასზე სახლები ააგონ, რუსეთის ქალაქებს თავიანთი საკუთარი მიწებიც კი ვერ გამოუყენებიათ იმავე მიზნისათვის.

იაფ-ფასიან და ჰიგიენურ ბინების საჭიროება საგრძნობელია ნამეტურ იმპერიის სატახტო ქალაქებსა და საზოგადოდ დიდ სამრეწველო ცენტრებში. ცოტად თუ მეტად მოხერხებული ბინები პეტერბურგსა და მოსკოვში იმდენათ ძვირია, რომ ისინი ყოვლად მიუწვდომელია ხელმოკლე მცხოვრებთათვის. ამიტომაც ეს უკანასკნელნი იძულებულნი არიან დაისადგურონ ნოტიო სარდაფებში, ვიწრო, ბნელ სადგომებში ან კიდევ ბინძურ ყუნებში. პეტერბურგში 1904 წ. ისეთი ბინების რიცხვი, რომლებშიც ერთ სულზე 0,9-დან 1,5 კუბ. საჟენამდე ჰაერი მოდიოდა, 3,270 შეადგენდა და ამ სადგომებში მცხოვრებთა რაოდენობა 52,000 უდრიდა. სხვათა შორის ეს გარემოებაც არის მიზეზი იმისა, რომ ეგრე ხანგრძლივ მძვინვარებდა უკანასკნელ დროს ხოლერის ეპიდემია პეტერბურგში, სადაც თითქმის მუდამ არის რაიმე ეპიდემიური ავადმყოფობა. თუ დასავლეთში სიკვდილის კოეფიციენტი ამ ბოლო დროს ძალზე შესუსტდა, ეპიდემიები კი იშვიათი სტუმარია, ხოლო ხოლერა და შავი ჭირი მთლათ დაავიწყდათ, ყოველ ამის მიზეზი დროით მიღებული რაციონალური სანიტარულ-ჰიგიენური ზომებია და მათ შორის ბინების პირობათა მრავალნაირად გაუმჯობესება. ამ ზომათა მნიშვნელობა ევროპიელთა შეგნებაში იმდენათ დიდია, რომ

*) All. Thomos „Espaces libres et fortifications“.

*) იხ. Тотоміанцъ „Задачи гор. самоупр.“ გვ. 13—14.

**) იხ. იქვე, გვ. 12—13.

ჩვენ არ ვიცით ვისგან და რა მიზნით იყო გამოგზავნილი ბ-ნი ხუნდაძე, ან რა შედეგი მოჰყვება იმის რევიზიას, მხოლოდ ეს-კი ცხადია, რომ სასწავლებელზე იხარჯება წელიწადში 14,154 მანეთი და ეს ამოდენა ფული რომ ტყუილათ არ იხარჯებოდეს, საჭიროა მისი პატრონობა, მისი ალაზან გამოღმა გადმოტანა ცენტრის ახლო მჭიდრო დასახლებულ რაიონში, მით უმეტეს ადვილია სამყოფი ადგილის შოვნა. სახაზინო მამულიც ბევრია და კერძო საკუთრებაც გამოღმა მხარეს.

**დავიწყებული.**

# მოწერილი ამბავი

**ალბულაღი.** მკვითხველებმა შგვმიცან, რომ ალბულაღში მღ. ივანკოვიჩმა ძველი ეკკლესია დანგრია დინამიტით და ნაცვლად ახალი ააგო.

ალბულაღში მცხოვრებნი გარდა ზოგიერთ სომეხ ვაჭრებისა სულ რუსები არიან. ამ სამრევლოს შეადგენს ორი სოფელი: ალბულაღი და კონსტანტინოვკა. დღევანდლამდე ესენი დაიარებოდნენ შტაბის სამხედრო ეკკლესიაში, რადგანაც მრევლს საკუთარი ეკკლესია არა ჰქონდა. ამ ეკლესიაში როგორც სამრევლო, ისე სამხედრო მღვდელი უსრულებდა ხალხს ყველა მღვდელ-მოქმედებათა წესს ივანკოვიჩმა თავის ყოფაქცევით ხალხის სიყვარული ვერ დაიმსახურა. როდესაც მღვდლის მოწვევა საჭირო იყო ხოლმე—ხალხი სცდილობდა მხარი აექცია ივანკოვიჩისათვის და პოლკის მღვდელი მიეწვია, მღ. ივანკოვიჩი ალბულაღის პატრიოტულ საზოგადოების განყოფილების თავმჯდომარეა. სცდილობდა რაიმე განხეთქილება ჩაეგდო ხალხსა და პოლკის მღვდლის შუა, მაგრამ ვერას გახდა. ყველა საშუალებას მიმართა მოხუც დეკანოზის მ. დომთურის წინააღმდეგ. მაგრამ რა ნახა სხვა უფრო ძლიერია მასზედ, აირჩია სხვა საშუალებისათვის მიემართნა, რადგანაც დეკანოზთან შერიგებას და მის ეკკლესიაში ანაფორის შრიალს ვეღარ ედირსებოდა. გამოუცხადა ხალხს ეკკლესია უნდა ავაგოთო. ხალხმა ერთხმად უარი განუცხადა ამაზედ, ალბულაღის შტაბის ეკკლესია ჩვენიცაა, რადგანაც ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა მის აშენებაში და ყველა ჩვენგანს აქვს გამოდებული თავ-თავისი წვლილი შეძლებისა და გვარად, თუ მთავრობა აგვიგებს ეკლესიას, მაშინ შუაგული ადგილი უნდა მოვძებნოთო, უპასუხა ხალხმა, და კიდევაც დაასახელეს ძველი ნასახლარი ალბულაღსა და კონსტანტინოვკას შუა. მღვდელს ეს არ ეჭაშნიკა და არც ისურვა, რადგან თავის საკუთარ სახლიდგან 1½ ვერსის მანძილზე სიარული დასჭირდებოდა. ამან მღვდელსა და კონსტანტინელებს შუა დამოკიდებულება გაამწვავა. უკანასკნელნი დღესაც არა დებულობენ ამ მღვდელს და უოველს საჭირო სამღვთო მოქმედებას ასრულებინებენ სამხედრო ეკკლესიის დეკანოზს მ. დომთურს, რომელსაც დიდ პატივცემითაც ეპყრობიან.

ვისი ნებართვით, არ ვიცი, მხოლოდ რამოდენიმე ხნის შემდეგ ძველს ქართულ ეკლესიას მღ. ივანკოვიჩმა გრიალი დააწყებინა. ძველი ეკკლესია სრულებით მთელი, ფერ შეუმცდელი, ასე გასინჯეთ ერთი პატარა კენჭიც კი არ აკლდა მის თალ-კედლებს. მეორე დღეს მოვიდა ბლაღოჩინის მოწერილობა, შეაჩერეთ ეკკლესიის დანგრევა და ადმინისტრაციისაგან იქმნა შეჩერებული, მაგრამ გვიანდა იყო, ამაზედ იტყვიან: „ყიდრე პეტრე მოვიდა, პავლეს ტყავი გააძრესო“. თალი შიგ დანგრეული იყო. აწ ცარიელი კედლები და მოწმობენ აქ ოდესმე ეკკლესიის არსებობას. რაკი საქმე ასე დატრიალდა, მღვდელი სწრაფად დაეშვა ტფილისისაკენ ეპ. გრიგორს სთხოვა ნება მიეცა, ალბულაღში არსებული ძველი ეკკლესია დაენგრია და ახალი აეგოთ, რადგან ძველი ეკკლესია ძლიერ პატარაა. საჭირთა არქეოლოგიურ საზოგადოებას ნება რთვა, უპასუხა გრიგორი ეპისკოპოსმა. თებერვლის შუა რიცხვებში მოვიდა ქაღალდი: „ნება ეძლევა ალბულაღის მღვდელს მხოლოდ შეაკეთოს ძველი ალბულაღის ეკკლესიაო“. საიდუმლოებაა რადაცა. ბლაღოჩინი მ. ყანჩაველი თავის პასუხში „ახალის“ მიმართ, სხვათა შორის, სწერს „ამაზედ ვაცნობე ეპ. გრიგორს და კანტორასაო“ როგორ გგონიათ მკითხველნო, რა მსჯავრს დასდებდა მღ. ივანკოვიჩს კანტორა?! თვითნებობისათვის სამრევლოდან განდევნიდა? არა! როგორც გავიგეთ კანტორას რეზოლუცია ასეთი გამოუტანია. „რადგანაც ძველი ეკკლესიის ქვები მოხმარდა ახალს, უყურადღებოთ დაიტოვოსო“.

დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, თუ ეხლავე არ მიაქცევს ამას ყურადღებას არქეოლოგიური საზოგადოება და ჯეროვან მსჯავრს არ დასდებს ვინც ამ საქმეში დამნაშავეა, სხვაც ბევრი მიხედავს ამ მაგალითს და ამ გვარად გამოგვეცლება ხელიდგან უფრო საუკეთესო ნაშთები.

**კოტე ფ. ხანაურელი.**

**უინვალი.** 22 მაისს მე და ჩემი ამხანაგი მივემგზავრებოდით ცხენებით ანანაურიდან თიანეთს. ზღვასავით მდელოვარე თამამი ყანები გზის უოველ არე-მარეში სიხარულის გრძნობებს აღვიძებდნენ. უოველ ნაბიჯზე ვგრძნობდით, რომ გლეხები და თვით ბუნებაც დიმილით გვესალმებოდა და შემოგვცქეროდა. ამისთანა შემთხვევაში გლეხის გული ხალვათი არის და მხიარული. თამამად გაზრდილ ყანები სიმხნევეს გვაძლევდნენ. გვიხაროდა, საიმედო ფიქრებით ვიყავით მოცულნი, როდესაც ბუნებამ ფერი იცვალა. პირველი შავი ღრუბელი დაიძრა კავკასიონის მთებიდან, დაიწყო შუშუნა წვიმა, მას მოჰყვა ხორხოშელა. შემდეგ წამოუშინა სწორეთ კვერცხის სისხო სეტყვამ. სულ ხუთი წუთი არ გასულა, რომ სეტყვამ თავი დაგვანება და ბოლოს სრულებით გადაიარა. ამ გვარად სულ 5—10 წუთის განმავლობაში ჩვენი მხიარული გრძნობები ბუნებამ გადმოგვმართა მოწყენილ და დაღონებულ დარებზედ.

ყინვალში სოფლის კანცელარიასთან შეგროვილიყვნენ გლეხები და თვალცრემლიანი შესცქეროდნენ ბუნებას. თვითეულ მათ სახეზე კაცი დარდის მეტს ვერას ამოიკითხავდა. თითქმის ლაპარაკის ხალისიც კი დაეკარგნათ და გულზედ ხელ-დაკრეფილნი შესჩერებოდნენ ერთი-ერთმანეთს. დასველებულები ოთახში შევედით. კუთხეში შევნიშნეთ ხატი, რომლის წინაც გაჩაღებინათ სანთლები. გლეხებმა თითოეულმა განგვიმარტეს, თუ რა მიზნით აენთოთ სანთლები.

წინად ღიმით მოსილი ბუნება, ამ შემთხვევაში ძლიერ საშინელებას წარმოადგენდა და კაცს უნადგურებდა უოველგვარ კეთილ იმედს. არა ნაკლებ დაღონების სურათს წარმოადგენდა გლეხობა ერთად მოქუხებული. ზოგი კალთაში აგროვებდა კვერცხის სისხო სეტყვას, ზოგი მუჭაში და თვალცრემლიანები დაჰყურებდნენ თავიანთ დამტვერულ სეტყვის მარცვლებს. თითქოს შველას გამოელოდნენ ჩვენგან, დაღონებულის თვალით შემოგვცქეროდნენ, გარს გვეხვეოდნენ. შევპირდით ამ თქვენ უბედურობას გაზეთის საშუალებით ქვეყანას შევატყობინებთო. ზოგიერთს პატარა დიმილი დაეტყო სახეზე, მხოლოდ მოხუცებულებმა აქვე მოკლედ მომიჭრეს: „ეჰ, ვინ არის ჩვენი გულის შემატკივარი, განა ქვეყანაზე მოიპოვება ვინმე, რომ გლეხს რაიმე წამალი დაადოს ჭირში და უბედურობაში?!“ ყველანი იმაზე ლაპარაკობდნენ, რომ დავიღუპეთ, მოსავლიდან ხელი აგვაღებინა სეტყვამაო: „იმ დალოცვილმა ღმერთმა რათ გაგვაჩინა თუ კი ასეთი ტანჯვა და ვაება მოგველოდა. რის ვაი-ვაგლახით ვებრძვით ამ მიწას, არის თუ არ არის მოსავალი ყველას ამით ვისტუმრებთ და აი, დახე ეხლა როგორ უბედური დღე დაგვიდგა, უკანასკნელი ლუკმა პური უნდა გაგვიწყდესო“ ამას გაიძახოდა ყველა. ყინვალიდან თიანეთს წავედით. თიანეთის მინდვრებს, რომლებიც ეკუთვნის სამხედრო ეწერებს, რუსეთიდან გადმოსული გლეხები სწვევოდნენ რიცხვით ათი კაცი მამულების დასათვალიერებლად და საყიდლად. მხოლოდ ამაზედ შემდეგ წერილში ვიტყვი.

**ვ. სირაძე.**

# რუსეთი

✦ **საიდუმლო საკუჭნაო ქალთა მონასტერში.** სმოლენსკის გუბერნიის სოფელ სიჩევკაში ქალთა მონასტერში ამას წინად ჩხრეკა მოხდა. ჩხრეკა შემდეგმა გარემოებამ გამოიწვია: აღდგომას კვირის ხუთშაბათს ბერ ტროიცკის კაბინეთში ჭერიდან რაღაც სითხე ჩამოვიდა. ამას მონასტერში მცხოვრებლებმა ყურადღება მიაქციეს. ჩამოხსნეს ქაღალდი კედელზე და ნახეს კიბე, რომელსაც ბანზე მიყავდა. ავიდნენ და, ჰოი საკვირველებავ. . ბანზე ნახეს ექვსი ფუთი ერბო, რომელიც გამდნარიყო და ჭერში ჩასულიყო, ორი ვერცხლის სახარება, ოთხი ფილონი, მრავალი სხვა სამღვდელო ტანისამოსი, დიდძალი ტილო, ქალების ფეხსაცმლის მასალა, გრამაფონი სხვა და სხვა საერო შინაარსიან ფირფიტებით, სურნელი საცხები, პომადა, პუდრი.

და სხვ ამის გამო ეპისკოპოსის ბრძანებით მონასტრიდან გააძევეს 60-მდე მონაზონი და საქმის გამოძიებას შეუდგნენ.

✦ **ლიტველთა 11 საზოგადოების დახურვა.** როგორც „რეჩი“ გადმოგვცემს კოვნოს საგუბერნიო საზოგადოებათა და კავშირთა შესახებ საკრებულოს დაუდგენია დახუროს ლიტველთა თერთმეტი განმანათლებელი საზოგადოება.

✦ **გაზეთების დევნა.** კიევიდან რუსულ გაზეთებს ატყობინებენ: დიდი რეპრესიებია მიღებული უკრაინულ პრესის წინააღმდეგ. სახალხო გაზეთი „სელო“ კვლავ 200 მანეთით დააჯარიმეს. დააჯარიმეს აგრეთვე გაზეთი „რადა“ 200 მანეთით და მეოთხეჯერ 300 მანეთით კაპეიკიანი გაზეთი „ოგნი“.

✦ **ჩხრეკა და დაპატიმრება ფინლიანდიაში.** ამას წინად პეტერბურგში შეიპყრეს ვინმე მიხელევიჩი, რომელმაც, პოლიციის სიტყვით, განაცხადა—სხვა და სხვა პირებთან ერთად არალეგალურ ლიტერატურას ვავრცელებდი ფინლიანდიაში და პოლიტიკურ საქმეებში მონაწილეობას ვიღებდიო. ამის გამო ჰელსინგფორსში და სხვაგან გაჩხრიკეს და დააპატიმრეს მრავალი საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი, ვექილი, მუშები.

✦ **სახ. უნივერსიტეტის ნება არ დართეს.** ხარკოვის ქალაქის გამგეობამ თხოვნით მიმართა სახალხო განათლების მინისტრს ნება დართოს გახსნას სახალხო უნივერსიტეტი. ეს თხოვნა მინისტრს უკან დაუბრუნებია ზედწარწერით: თქვენთვის ასეთ დაწესებულებას ჯერ ჯეროვნად უდროულად ვსთვლით.

---

ზოგიერთ სახელმწიფოში თვით **კანონი ავალებს** ქალაქებს ამ ზომათა მიღებას. მაგ., ინგლისში წყლისაყვანის მოწყობა, უწმინდურებათა გაზიდვა და მათი უვნებლათ ქცევა და ზოგიერთი სხვა დარგები სანიტარულ მოღვაწეობისა ქალაქის **სავალდებულო** ბეგარას შეადგენს. ინგლისის კანონები, კიდევ უფრო შორსაც მიდიან. ისინი თვით მცხოვრებთ ჰხდიან ვალდებულად ისარგებლონ წყლისაყვანითა და კანალიზაციით. მის მაგიერ, რომ რუსის მთავრობას მილიონები დაეხარჯა სხვა და სხვა ეპიდემიასთან ბრძოლაში (როგორც ეს მაგ., უკანასკნელ ხოლერის დროს მოხდა), განა უფრო გონივრული არ იქნებოდა ხელი შეეწყოთ მშრომელ კლასებისათვის რიგიან და ხელმისაწვდომ ბინების გაჩენით? ამ საჭიროების დაკმაყოფილება, როგორც ყოველი სხვა საზოგადო სანიტარული თუ ჰიგიენური ზომა, სასარგებლო იქნებოდა არა მარტო მცხოვრებთათვის (ავადმყოფთა და გარდაცვალებულთა რიცხვის შემცირება, ალკოჰოლიზმის და სხვა ზნეობრივ ბიწიერებათა შესუსტება და სხ. და სხ.); იგი, თუ გნებავთ, ერთ-ერთ მომგებიან საქმედ დადგებოდა თვით ქალაქისათვის: რამდენადაც უფრო მცირეა ავადმყოფთა რიცხვი ქალაქში, მით უფრო ნაკლებია ქალაქისა ხარჯი სამკურნალოებზე და სხ.

მართალია, რუსეთის ქალაქის თვითმართველობათა სუსტად მოქმედების და მცონარეობის მთავარი მიზეზი ნივთიერ საშუალებათ ნაკლებობაა, მაგრამ იმისათვის, რომ უკვე მომწიფებული საკითხი რადიკალურად გადაეწყვიტათ, არამც და არამც საზარალო არ იქნებოდა, ქალაქებს დიდი სესხებიც აეღოთ, ვინაიდან ასეთი სესხები არ უნდა ითვლებოდნენ უსარგებლო ნივთიერადაც კი. სახლის პატრონთაგან შემდგარი საჭირო კი ასე არ ჰფიქრობს. იგი ვერ ჰხედავს რაიმე ახალი შემოსავალს, განსაკუთრებით ისეთი რამ, რაც ამ საბჭოის თუ მის ამომრჩეველთა პირად, ეგოისტურ ინტერესებს ემსახურება.

თუ რაიმე გაკეთდა ამ მხრივ რუსეთში, ისევ კერძო ინიციატივის წყალობით. ზოგიერთ ქალაქში დაარსდა კერძო ამხანაგობანი, რომელთაც გაჭირვებულთათვის ბინების მოწყობის საქმე. მიზნად დაუსახავთ. ერთი ამგვარი ამხანაგობა პეტერბურგში არსებობს, სადაც მან ერთი უზარმაზარი შენობა ააგო, რომელშიც ათასამდე მუშა სცხოვრობს. გადასახადი შეადგენს 3 მან. 46 კაპ. თვეში ერთ ოთახში გათბობით და საზოგადო სამზარეულოთი სარგებლობით. ამ სახლში არის საკითხველო, იაფი სასადილო (სადილი 6 კაპ. ღირს), დარბაზი ლექციათა, გასართობათა და სხ. გასამართავად. არა კერძო ხასიათის დაწესებულებათაგან ჯერჯერობით შეგვიძლია დავასახელოთ მხოლოდ რამდენიმე პროექტი. ერთი არის პეტერბურგის ქალაქის თვითმართველობისა, რომელსაც განზრახვა აქვს ააგოს ორი დიდი სახლი იაფ-ფასიან სადგომებით 700 სულისთვის თითო. მეორე არის მთავრობის კანონ-პროექტი ბინების ინსპექციის შესახებ. ამ პროექტით ყოველი საცხოვრებელი სადგომი უნდა აკმაყოფილებდეს ჰიგიენურ მოთხოვნილებათა მინიმუმს (ცალკე შესავალი, ცალკე კლოზეტი და სამზარეულო სათავსო ბინებში, ყოველ სულზე განსაკუთრებული რაოდენობა ჰაერისა, სინესტისაგან დაცვა დაბალ სართულთა და სხ.).

ერთი რამ კი უხვად აქვს რუსეთის ქალაქებს—ეს გახლავთ აბანოები, რაიც უნდა აიხსნას იმით, რომ საზოგადოთ რუსს ძლიერ უყვარს ხშირათ ტანის დაბანვა, პეტერბურგსა, მოსკოვსა და სხვა ცოტათ თუ მეტათ შესამჩნევ ქალაქებში მოიპოვება სახალხო აბანოები, რომელნიც ბევრათ არ ჩამოუვარდებიან ევროპის აბანოებს და გარდასახადის მხრივაც ხელმისაწვდომია.

**გრ. გველესიანი.**

(დასასრული იქნება)


# განცხადებანი

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—114)

## დოქტ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
უოველ დღე, კვირების გარდა

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.
**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** 9½—1ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

**საღამოთი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
**ო. ვ. გეევხკაია-ენველი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

## მატარებლების მიმოსვლა
**18 აპრილიდან 1910 წ.**

საათები ნაჩვენებია ტფილისის დროს მიხედვით, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წუთით წინაა.

**ტფილისიდან გადის**

| | | |
|---|---|---|
| ბათუმისკენ: | N 1, სწრ.—საღ. | 11 ს. 28 წ. |
| | N 3, საფ-ს.—დღ. | 1 ს. 24 წ. |
| | N 5, სამგზ.—საღ. | 7 ს. 31 წ. |
| ბაქოსკენ: | N 2, სწრაფ.—დილ. | 8 ს. 15 წ. |
| | N 4, საფ-ს.—საღ. | 10 ს. 4 წ. |
| | N 12, სამგზ.—დღ. | 2 ს. 38 წ. |
| ბორჯომისკენ: | სამგზ.—დილ. | 8 ს. 28 წ. |
| | სამგზავ.—დღ. | 3 ს. 36 წ. |
| ჯულფისკენ: | საფოსტო—ღამ. | 12 ს. 22 წ. |
| ერევნისკენ: | სამგზავრო—დღ. | 4 ს. 15 წ. |

**ტფილისში მოდის**

| | | |
|---|---|---|
| ბათუმიდან: | N 2, სწრ.—დილ. | 7 ს. 25 წ. |
| | N 4, საფ-ს.—საღ. | 9 ს. 4 წ. |
| | N 6, სამგზ.—დილ. | 11 ს. 4 წ. |
| ბაქოდან: | N 1, სწრფ.—საღამ. | 10 ს. 36 წ. |
| | N 3, საფოს.—დღ. | 12 ს. 24 წ. |
| | N 11, სამგზ.—დილ. | 6 ს. 58 წ. |
| ბორჯომიდან: | სამგზ.—დილ. | 6 ს. 28 წ. |
| | სამგზ.—საღამ. | 8 ს. 08 წ. |
| ჯულფიდან: | საფოსტ.—დილ. | 6 ს. 8 წ. |
| ერევნიდან: | სამგზავ.—დღის. | 6 ს. 33 წ. |

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მცხიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.
**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.
**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.
**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.
**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.
**ბოჟოვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.
**ერმოლაევი**—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.
**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.
**ნოვიცკი**—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2.
**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.
**კალამქაროვი**—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირის გარდა 4—5 საათ.
**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურის. 11½—12½ საათ.
**ახპიროვი**—ცხვ., ყელ., ყურ. 1—2 ს.
**ფონდოევი**—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 4—5 ს.
**ლიმონი**—კბილის ექიმი. ყოველ დღე 9—11½ ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის მრატით. (100—ნ.—48)

ვ. ყიფიანის დრამა
## სამეგრელოს მთავარი ლევან

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა.

**ფასი ორი აბაზი**

იყიდება „დროების“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

**ქ. შ. წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მაღაზიაში**

## იყიდება

| | | |
|---|---|---|
| 1. | ი. ჭავჭავაძე. კრიტიკული წერილები | 25 კ. |
| 2. | ი. ჭ-ჭავაძე. პოლემიკური წერილები | 10 „ |
| 3. | ი. ჭავჭავაძე. ცხოვრება და კანონი | 25 „ |
| 4. | ი. ჭავჭავაძე. აი ისტორია | 35 „ |
| 5. | აკ კის სახსოვრად. საიუბილეო კრებული | 40 „ |
| 6. | აკაკი. თორნიკე ერისთავი | 35 „ |
| 7. | აკაკი. კრილოვის იგავ არაკები, სურათებით | 50 „ |
| 8. | აკაკი. ქუთათლის სიზმარი | 5 „ |
| 9. | აკაკი. ნაცარქექია | 10 „ |
| 10. | აკაკი. გოგია მეჩანგურე | 5 „ |
| 11. | ნ. ბარათაშვილი. ლექსები | 5 „ |
| 12. | ე. ნინოშვილი. გოგია უიშვილი | 5 „ |
| 13. | ე. ნინოშვილი. პალიასტომის ტბა | 5 „ |
| 14. | ა. ყაზბეგი. ელისო | 10 „ |
| 15. | ვაჟა-ფშაველა. ცრემლები, ლექსები | 50 „ |
| 16. | კარიჭაშვილი დ. საქართველოს მოკლე ისტორი. ნ. ს. | 40 „ |
| 17. | ნ. მარრი история грузіи | 25 „ |
| 18. | ი. ჯავახიშვილი, საქართველოს მეფე და მისი უფლება | 15 „ |
| 19. | ი. ჯავახიშვილი. საქარ. ეკონომიური ისტორია | 40 „ |
| 20. | ი. ჯავახიშვილი. ქართველ ერის ისტორია | 60 „ |

**და სხვა ყოველ გვარი ქართული წიგნი.**

◀ სამეურნეო ჟურნალი ▶
## მოსავალი
წელიწადი მეორე

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ მცენარეებ-ს საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უ ფ ა ს ო დ.**

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали“.

**საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი**
## „ნაკადული“
(წელიწადი მეექვსე)

1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელის მომწერლებს:

**24** წიგნი მცირე წლოვანთათ. **12** წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა **მიეცემა პრემიად საბავშვო უნივერსიტეტი** (სამეცნიერო-პოპულიარული ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის). 1. «დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი»—ზღაპარი ევალდისა; 2. »მარჯნები».—ზღაპარი ევალდისა; 3. „თორმეტი და“—ზღაპარი ევალდისა; 4. ქართული მხატვრული ანდაზები კუბიკებზე.

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა—სამი მანეთი; **ნახევარ-გარეშე:** წლიურად—ოთხი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში. **„ნაკადულის“** რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურთ ქარვასლაში).

## შპალიერი
8 კაპეიკიდან 6 მან.-მდე რულო
## ძმ. ტარნოპოლების
საწყობი რუსეთის ყველა დიდ ქალაქშია.

განყოფილება **ტფილისში:** გოლოვინის პრ., № 21, არტისტ. საზოგად. ქვეშ, ტელ. № 355.

**ფასები საფაბრიკოა**

ნიმუშები უფასოდ. (50—1046—22)

◀ სოფლისთვის ▶
## საჭიროა

**ქართველი ახალგაზრდა უფლებიანი ბებია.** დაწვრილებით ქვაშვეთის მთავარ ნიკო ოქრომჭედლიშვილთან. ტფილისი. სამების ქუჩ № 3. (3—299—1)

## ივ. გრ. ხალათიანი

იღებს ყოველგვარ განცხადებას ადგილობრივ და სხვა ქალაქების გაზეთებისათვის.

ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს გაზეთ **„დროება“-ს კანტორაში:** დიდი ვანქის ქ., № 12. (0—23)

ელექტრონის გილზის ფაბრიკა
## „როზა“
(„ვარდი“)

**ტფილისი, უჩებნის შესახვევი, № 5. ტელეფონი № 602.**

**საკვირველად მშვენიერი გილზები მეტად წმინდა ფრანგულ ქაღალდისა. იყიდება ყველგან.** (100—ტ.—24)

## თუ თქვენ გჭირთ

სუსუნატი, ათაშანგი, ონანიზმი, იტანჯებით სქესობრივ უძლურებით, შანკირით და სხვა და ცუდადა გრძნობთ თავს—დაუყონებლივ მოითხოვეთ „უველასათვის გასაგები საიდუმლო ავადმყოფობათა სამკურნალო წიგნი“. ფასი გაგზავნით 1 მან. 25 კაპ. ფასდადებით 1 მან. 50 კაპ. ს.-პეტერბურგი, ნევსკი პროსპექტი, № 108, Т-во „Основа“. (4—6.—1)

## შემთხვევით იყიდება

ძრიელ იაფად ორ სართულიანი სახლი. შესდგება 13 ოთახისა და 6 სამზარეულოსაგან. მიწა ზომით 60 ოთხკუთხი საჟენი. ავლაბარში, თელავის ქუჩა, № 17. არამიანცის საავადმყოფოს ახლო. შეიძლება იჯარითაც გაცემა. პირობების გაგება შეიძლება იქვე.